

**სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით  
ადამიანთა ტრეფიკინგი**

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ  
2000 წლის 19 მაისს მიღებული  
რეკომენდაცია № R (2000) 11  
და  
განმარტებითი მემორანდუმი

## ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 1949 წლის 5 მაისს ათი ევროპული სახელმწიფოს მიერ, მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთობის ხელის შეწყობის მიზნით დაარსდა. ის ახლა ითვლის 44 ევროპულ სახელმწიფოს.<sup>1</sup>

ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერა და პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სამართლებრივი პრობლემებისადმი წევრ სახელმწიფოთა შორის ერთგვაროვანი რეაგირების განვითარება. 1989 წლიდან მან მიერთა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა და მათ დახმარება გაუწია პოლიტიკური, სამართლებრივი და აღმინისტრაციული რეფორმების განხორციელებასა და განმტკიცებაში.

ევროპის საბჭოს მუდმივი შტაბინა აქვს სტრასბურგში (საფრანგეთი). წესდების მიხედვით მას აქვს ორი ძირითადი ორგანო: მინისტრთა კომიტეტი, რომელიც შედგება 41 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან და საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც შეიცავს 41 ეროვნული პარლამენტის დელეგაციას. ევროპის ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის კონგრესი წარმოადგენს წევრ სახელმწიფოს შიგნით არსებული ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის წარმონაქმნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის სასამართლო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ინდივიდების, გაერთიანებებისა და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის საფუძველზე შემოტანილი განაცხადი.

## ევროპის საბჭო და ქალისა და მამაკაცის თანასწორობა

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის განხილვა, მიჩნეულია რა იგი ადამიანის ძირითად უფლებად, არის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კომიტეტის პასუხისმგებლობა. ექსპერტებს, რომლებიც კომიტეტს ქმნიან (თითო ყოველი წევრი სახელმწიფოდან), დაკისრებული აქვთ ეროვნულ დონეზე, ისევე როგორც ევროპის საბჭოს ფარგლებში ქალსა და მამაკაცს შორის ეფექტური თანასწორობის მისაღწევად ქმედებათა სტიმულირების ამოცანა. ამ შედეგისათვის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კომიტეტი ატარებს ანალიზებს, სწავლებებსა და შეფასებებს, განსაზღვრავს სტრატეგიას და პოლიტიკურ ზომებს და საჭიროების შემთხვევაში ქმნის შესაფერის სამართლებრივ მექანიზმებს.

<sup>1</sup> ალბანეთი, ანდორა, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საქართველო, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლაბორატორია, ლიბერალისტებინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სან მარინო, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ესპანეთი, შვეიცარია, "ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია", თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო

ქალისა და მამაკაცის თანასწორობასთან დაკავშირებული მოქმედებების შესახებ  
დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის განყოფილება  
ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატი  
ევროპის საბჭო  
67075 სტრასბურგი

ტელ: +33 3 88 41 23 39  
ფაქსი: +33 3 88 41 27 05

# ევროპის საბჭო

## მინისტრთა კომიტეტი

### წევრი სახელმწიფო ებისადმი მინისტრთა კომიტეტის

რეკომენდაცია № R (2000) 11

### სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ<sup>2</sup>

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2000 წლის 19 მაის  
მინისტრთა მოადგილების 710-ე შეკვეთის ზე)

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს წესდების მე-15.б მუხლის შეაბამისად,

მხედველობაში იღებს რა, რომ ევროპამ ბოლო ხანებში განიცადა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ ქმედებათა შესამჩნევი ზრდა, რაც ხშირ შემთხვევაში კავშირშია ორგანიზებულ დანაშაულთან, იმდენად რამდენადაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ამგვარი შემოსავლიანი პრაქტიკა გამოიყენება სხვა საქმიანობის დაფინანსებისა და გაფართოების საფუძვლად, როგორიცაა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა და ფულის გათეთრება;

მიიჩნევს რა, რომ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი ვრცელდება ეროვნულ საზღვრებს მიღმა, და აქედან გამომდინარე ამ მოვლენასთან ბრძოლისა და მსხვერპლთა დაცვისათვის საჭიროა პან-ევროპული სტრატეგის შექმნა, ევროპის სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდების პარმონიზაციასა და მისი ერთგვაროვანი და ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფასთან ერთად;

მოუხმობს რა ევროპის საბჭოს მეორე სამიტზე მიღებულ დეკლარაციას (1997 წლის ოქტომბერი), რომელშიც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა გადაწყვიტეს “ისწრაფვოდნენ ევროპის მასშტაბით ორგანიზებული დანაშაულის ზრდით (. . .) განპირობებულ გამოწვევაზე ერთგვაროვანი რეაგირებისაკენ (. . .)”, და დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება “ებრძოლონ ქალთა მიმართ ძალადობასა და ქალთა სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმას”;

მხედველობაში იღებს რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას (1950) და მის დამატებით ოქმებს;

<sup>2</sup> რეკომენდაციის მიღებისას გერმანიისა და ნიდერლანდების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მინისტრთა მოადგილების შეხვედრათა პროცედურული ნორმების 10.2.с მუხლის თანახმად მათ შესაბამისად, თავიანთი მთავრობებისათვის გააკეთეს დათქმა დამორჩილებოდნენ ან არ დამორჩილებოდნენ რეკომენდაციის დანართის I.1 პუნქტს.

მხედველობაში იღებს რა ევროპის სოციალურ ქარტიას (1961), შესწორებულ ევროპის სოციალურ ქარტიას (1996) და ევროპის სოციალურ ქარტიის დამატებით ოქმს, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას;

მხედველობაში იღებს რა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შემდეგ რეკომენდაციებს: ბავშვთა და მოზარდთა სექსუალური ექსპლუატაციის, პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის, და ტრეფიკინგის შესახებ რეკომენდაცია R № (91) 11; გარდამავალ პერიოდში ევროპაში დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის შესახებ რეკომენდაცია R № (96) 8; რეკომენდაცია R № (97) 13, რომელიც შეეხება მოწმეთა დაშინებასა და დაცვის უფლებას;

მხედველობაში იღებს რა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასმბლეის შემდეგ დოკუმენტებს: ბავშვთა ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმების შესახებ რეკომენდაცია 1065 (1987), უკანონო მიგრაცია: უკანონო მიგრაციების ტრეფიკინგის განმახორციელებლების და დამქირავებლების შესახებ რეკომენდაცია 1211 (1993), ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ რეზოლუცია 1099 (1996) და ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ქალთა ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია 1325 (1997);

მოუიხმობს რა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასა (1979) და სხვა საერთაშორისო კონვენციებს, როგორიცაა ადამიანთა ტრეფიკინგისა და სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღკვეთის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (1949);

მიიჩნევს რა, რომ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგს, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას და ადამიანის პატივისა და დირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს,

ურჩევს წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს:

1. გადასინჯონ თავიანთი კანონმდებლობა და პრაქტიკა რეკომენდაციის დანართში აღწერილი ზომების განხორციელების, და საჭიროების შემთხვევაში მათი შემოღების თვალსაზრისით;
2. უზრუნველყონ ამ რეკომენდაციისადმი ყველა შესაბამისი საჯარო თუ კერძო დაწესებულების, განსაკუთრებით პოლიციისა და სასამართლო ორგანოების, დიპლომატიური მისიების, მიგრაციის სამსახურების, სოციალური, სამედიცინო და განათლების სფეროს მუშაქებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უურადღების მობურობა.

## № R (2000) 11 რეკომენდაციის დანართი

### I. ძირითადი პრინციპები და ცნებები

1. ძირითადი პრინციპები შემდეგია: სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, მათი თანხმობის შემთხვევაშიც კი, ერთი, ან მეტი კერძო, ან იურიდიული პირის, ან/და ორგანიზაციის მიერ ადამიანების ექსპლუატაციას ან/და ტრანსპორტირების მომსახურების გაწევას, ან კანონიერი თუ უკანონო მიგრაციის *inter alia* იძულებით, განსაკუთრებით ძალადობით ან მუქარით, მოტყუებით, ძალაუფლების ან ზემგრძნობელობის მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

ამ საფუძველზე, წევრი სახელმწიფოების მთავრობები მოწვევლით არიან განიხილონ შემდეგი ზომები:

### II. ზოგადი ზომები

2. მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და პრაქტიკული ზომები რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ყველაზე მგრძნობიარე და ყველაზე დაზარალებული ჯგუფების: ქალების, მოზარდების და ბავშვების უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

3. მიანიჭონ აბსოლუტური უპირატესობა, თუკი შესაძლებებლია, რეაბილიტაციის პროგრამების მეშვეობით ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების გაწევასა და ტრეფიკინგის განმახორციელებლებისაგან მათ დაცვას.

4. გაატარონ ღონისძიებები ტრეფიკინგისათვის პასუხისმგებელი პირების დაკავების, ბრალდებისა და დასჯის, სექს-ტურიზმის და ყველა იმ ქმედების თავიდან აცილებისათვის, რომლებმაც შეიძლება ტრეფიკინგის ამა თუ იმ ფორმამდე მიგვიყვანოს.

5. განიხილონ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის ფარგლებში, და ამიტომაც მოუწოდებს ეროვნული და საერთაშორისო რეალობის შესაბამისი შეთანხმებული მოქმედებებისაკენ.

### III. მოქმედებათა საფუძველი და მეთოდები

6. მრავალდარგოვანი მიღების გამოყენებით გაატარონ შეთანხმებული ღონისძიებები შესაბამისი სოციალური, სასამართლო, ადმინისტრაციული, საბაჟო, სამართალდამცავი და საიმიგრაციო სამსახურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.

7. ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით წაახალისონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის, ტრანზიტის

და დანიშნულების სახელმწიფოებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების საშუალებით თანამშრომლობა.

8. ამ ქმედებათა მყარი და საიმედო საფუძვლის შექმნის უზრუნველსაყოფად წაახალისონ ეროვნული და საერთაშორისო კვლევა, რომელიც განსაკუთრებით შეეხება:

- სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგზე მედიისა და პირველ ყოვლისა, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების გავლენა;
- სექსით ვაჭრობის კლიენტები: მოთხოვნის ტენდენციები და მათი თანამდევი შედეგები სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან მიმართებაში;
- ტრეფიკინგის მოვლენის წარმოშობა და ტრეფიკინგის განმახორციელებლების მიერ გამოყენებული მეთოდები.

9. განიხილონ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის შემსწავლელი სპეციალიზებული კვლევითი ერთეულების დაარსების საკითხი.

10. გადადგან ნაბიჯები, რათა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განავითარონ მონაცემთა ბაზა და სტატისტიკა, რომელიც მეტ ნათელს მოჰყენს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის მოვლენას, და თუკი შესაძლებელია, შეადარონ ევროპის საბჭოს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში ამ მოვლენის განვითარების გზები.

#### IV. თავიდან აცილება

##### i. შემუცნების ზრდა და ინფორმირება

11. ორგანიზება გაუწიონ გენდერული სახის საინფორმაციო კამპანიებს, რათა გაიზარდოს საზოგადოების მიერ ტრეფიკინგის გამომწვევი სიშიში სიტუაციებისა და ტრეფიკინგის უარყოფითი შედეგების შემეცნება, და განსაკუთრებით უნდობლობა გამოუცხადონ იმ ცნებას, რომ პროსტიტუციიდან შესაძლებელია იოლი შემოსავლის მიღება; ეს კამპანიები მიმართული უნდა იყვნენ ყველა დაკაგშირებული მხარისაკენ, განსაკუთრებით იმიგრაციის შესახებ მდედრობითი სქესის განმცხადებლებისა და ლტოლვილი ქალებისაკენ.

12. ორგანიზება გაუწიონ სექს-ტურიზმისათვის უნდობლობის გამოცხადებისა და ამგვარი საქმიანობის პოტენციური მონაწილეების გადარწმუნებისათვის გამიზნულ საიფორმაციო კამპანიებს.

13. პოტენციურ მსხვერპლთა წარმოშობის ქვეყანაში მომუშავე დიპლომატიურ წარმომადგენლებს, საჯარო ხელისუფლების ორგანოებს, მედიას, ჰუმანიტარულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია, როგორიცაა ქალების, ბავშვების და ახალგაზრდების სექსუალური ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის შესახებ დოკუმენტაცია, ვიდეომასალა და ბუკლეტები.

14. ყოველ სახელმწიფოში ფართოდ გაავრცელონ ინფორმაცია სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საფრთხის შესახებ.

15. წაახალისონ და ორგანიზება გაუწიონ მოქმედებებს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებსა და ამ სფეროში მედიის შესაძლო გავლენის შესახებ მედიის მუშაკთა გათვითცნობიერებისათვის.

### ii. განათლება

16. ბავშვის, ასევე მისი მშობლების, მეურვეების და მათზე სამართლებრივად პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებათა გათვალისწინებით სკოლებში შემოიღონ ან გააუმჯობესონ სექსუალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქალისა და მამაკაცის თანასწორობასა და ადამიანის უფლებებისა და პირის დირსების პატივისცემას.

17. უზრუნველყონ რომ სასკოლო პროგრამები შეიცავს იმგვარი ექსპლუატაციის, სექსუალური ძალადობისა და ტრეფიკინგის საფრთხის შესახებ ინფორმაციას, რომლის წინაშეც შეიძლება ადმონდნენ ბავშვები და ახალგაზრდები, და მათ მიერ თავიანთი თავის დაცვის გზებს; ეს ინფორმაცია ასევე უნდა გადაიცემოდეს მშობლებსა და საგანმანათლებლო სისტემის მიღმა მყოფ ახალგაზრდებში.

18. გოგნებსა და ვაჟებს მიაწოდოს ისეთი განათლება, რომელიც თავიდან აგვაშორებს გენდერულ სტერეოტიპებს და ასევე უზრუნველყონ, რომ მასწავლებები და საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სხვა პირები მომზადებულნი არიან იმგვარად, რომ სწავლების პროცესში ჩართონ გენდერული განზომილება.

### iii. ტრეინინგი

19. ორგანიზება გაუწიონ სოციალური მუშაკებისათვის, ისევე როგორც სამედიცინო, პედაგოგიური, დიპლომატიური, საკონსულტო, სასამართლო, საბაჟო და პოლიციის თანამშრომელთათვის სპეციალურ ტრეინინგებს, რათა მათ შესაძლებობა მიეცეთ ამოიცნონ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის შემთხვევის და მოახდინონ მათზე შესაბამისი რეაგირება.

20. შემოიღონ ან/და განავითარონ ტრეინინგ-პროგრამები, რათა პოლიციის მუშაკებს მიეცეთ ამ სფეროში სპეციალური დაოსტატების შესაძლებლობა.

21. განსაკუთრებით, დაგეგმონ სპეციალური ტრეინინგ-პროგრამები და გამოცდილების გაზიარება, რათა გააუმჯობესონ პოლიციასა და მსხვერპლთა დაცვაში სპეციალიზებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა.

22. ასევე შემოიღონ ტრეინინგ-პროგრამები იმიგრაციის სამსახურისა და სასაზღვრო პოლიციისათვის, რათა მათ შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა

ტრეფიკინგის თავიდან აცილებაში, იმის უზრუნველყოფით, რომ პირები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებიც მოგზაურობენ საზღვარგარეთ მშობლებისა და მეურვეების გარეშე, არ არიან ჩაბმულნი ტრეფიკინგში.

#### iv. გრძელვადიანი მოქმედებები

23. ებრძოლონ ტრეფიკინგის გამომწვევ გრძელვადიან მიზეზებს, რომლებიც ხშირად დაკაგშირებულია ეკონომიკურად განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოთა შორის არსებულ უთანასწორობასთან, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში ქალთა სოციალური სტატუსის, ისევე როგორც ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით.

24. ეკონომიკური, სოციალური, მიგრაციისა და სხვა პოლიტიკის განხორციელებისას მხედველობაში მიიღონ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ადამიანთა ტრეფიკინგისა და სექს-ტურიზმის თავიდან აცილების საჭიროება.

25. გაავრცელონ კანონიერი მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია, რათა ქალთათვის ცნობილი გახდეს ვიზისა და ბინადრობის ნებართვის მიღების პირობები და პროცედურა.

### V. მსხვერპლთა დახმარება და დაცვა

#### i. მსხვერპლის მხარდაჭერა

26. წაახალისონ მიღების ცენტრების ან სხვა საშუალებების დაარსება ან განვითარება, სადაც ტრეფიკინგის მსხვერპლთ შეეძლებათ ისარგებლონ მათი უფლებების შესახებ ინფორმაციით, ასევე ფსიქოლოგიური, სამედიცინო სოციალური და ადმინისტრაციული მხარდაჭერით, თავიანთი წარმოშობის ან მასპინძელ ქვეყანაში რეინტეგრაციის თვალსაზრისით.

27. განსაკუთრებით, უზრუნველყონ რომ მსხვერპლთ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ თავიანთ ენაზე სამართლებრივი დახმარებით, მაგალითად მიღების ცენტრების ან სხვა საშუალების მეშვეობით.

#### ii. სამართალწარმოება

28. სადაც შესაძლებელია ტრეფიკინგის მსხვერპლი, განსაკუთრებით ბავშვები და მოწმეები უზრუნველყონ შეტყობინებისა და საჩივრის შეტანის ისეთი სპეციალური (აუდიო ან ვიდეო) საშუალებებით, რომლებიც გამიზნულია მათი პირადი ცხოვრებისა და ღირსების დაცვისა და ოფიციალური პროცედურების რაოდენობისა და მათი მატრამირებელი შედეგის შემცირებისათვის.

29. აუცილებლობისას და განსაკუთრებით დანაშაულებრივი ქსელის არსებობის შემთხვევაში, გადადგან ნაბიჯები მსხვერპლთა, მოწმეებისა და მათი ოჯახების დაცვისა და დაშინებისა და რეპრესალიების თავიდან აცილების მიზნით.

30. ჩამოაყალიბონ მსხვერპლთა დაცვის სისტემა, რომელიც გვთავაზობს მსხვერპლისა და მისი ოჯახის დაშინებისა და ფიზიკური უსაფრთხოების

წინააღმდეგ რეალურ მუქარასთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებებს, როგორც დანიშნულების, ისე წარმოშობის ქვეყნებში.

31. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ოჯახების უსაფრთხოება წარმოშობის ქვეყანაში, როცა ეს უცანასკნელი დანიშნულების ქვეყანაში იწყებენ სამართალწარმოებას.

32. სადაც შესაძლებელია, ეს დაცვა გააგრცელონ იმ ასოციაციებისა და ორგანიზაციების წევრებზე, რომლებიც ეხმარებიან მსხვერპლს სამოქალაქო თუ სისხლის სამართალწარმოებისას.

33. შესაძლებლობა მისცენ შესაბამის სასამართლოებს დამნაშავეს დააკისროს მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდა.

34. აუცილებლობის შემთხვევაში და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მსხვერპლთ დანიშნულების ქვეყანაში მისცენ დროებითი ცხოვრების სტატუსი, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ გამოვიდნენ მოწმეებად დამნაშავეთა წინააღმდეგ სასმართლო პროცესის მიმდინარეობისას; ამ დროის განმავლობაში აუცილებელია სამედიცინო და სოციალურ დახმარებასთან მსხვერპლთა დაშვების უზრუნველყოფა.

35. აუცილებლობის შემთხვევაში განიხილონ მსხვერპლთათვის პუმანიტარულ საწყისებზე დროებითი ცხოვრების სტატუსის მინიჭების საკითხი.

### *iii. წარმოშობის სახელმწიფო ხოციალური დონისძიებები ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის*

36. წაახალისონ და მხარი დაიჭირონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების საქმეში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების ქედის დაარსებას.

37. ხელი შეუწყონ წარმოშობის სახელმწიფოში მიღების საშუალებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, რათა დაეხმაონ მსხვერპლთ დაბრუნებასა და რეინტეგრაციაში.

### *iv. დაბრუნებისა და რეაბილიტაციის უფლება*

38. ყველა საჭირო ნაბიჯის გადადგმით, მსხვერპლთა წარმოშობისა და დანიშნულების სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის შეთანხმებების ჩათვლით, მიანიჭონ მსხვერპლთ თავიანთი წარმოშობის სახელმწიფოში დაბრუნების უფლება.

39. ორმხრივი შეთანხმებების მეშვეობით ჩამოაყალიბონ მსხვერპლთა დაბრუნების დაფინანსებისა და მათ რეინტეგრაციაში წვლილის შეტანის სისტემა.

40. ორგანიზბა გაუწიონ დაბრუნებულთა სოციალური მხარდაჭერის სისტემის შექმნას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური და სამედიცინო სამსახურების ან/და თავიანთი ოჯახების მიერ მსხვერპლთა დახმარება.

41. შეიძლოა მსხვერპლთა დასაქმებით რეინტეგრაციასთან დაკავშირებული სპეციალური ზომები.

## VI. სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სამართლებრივი თანამშრომლობა

42. შექმნან ან განამტკიცონ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინის შესახებ კანონმდებლობა და აუცილებლობის შემთხვევაში შემოიღონ დანაშაულის სპეციალური სახე.

43. შემოიღონ ან გაზარდონ დანაშაულის სერიოზულობის პროპორციული სისხლის სამართლებრივი სანქციები, მათ შორის გადამარწმუნებელი თავისუფლების აღმკვეთი მსჯავრი, და შესაძლებელი გახადონ ეფექტური სამართლებრივი თანამშრომლობა და ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა ექსტრადიცია.

44. გადადგან ისეთი ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია ტრეფიკინგის საშუალებათა და სარგებლის დაკავებისა და კონფისკაციის დაკისრებისათვის კეთილსინდისიერი მესამე მხარის უფლებებისთვის ზიანის მიუენების გარეშე.

45. გაადვილონ საპოლიციო გამოძიება და მეთვალყურეობა იმ დაწესებულებებზე, სადაც ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლუატაცია, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში მათი მათი დახურვის ორგანიზება.

46. უზრუნველყონ იურიდიული პირების პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები სასჯელთა სპეციალური სახეებით.

47. უზრუნველყონ ტრეფიკინგის განმახორციელებლების ექსტრადიცია გამოყენებადი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თუკი შესაძლებელია სახელმწიფოში, სადაც შესაძლოა აღმოჩნდეს დანაშაულის მტკიცებულებები.

48. დაადგინონ ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის მარეგულირებელი ნორმები, რათა ნებადართულ იქნეს და გაადვილდეს იმ პირთა ბრალდება და მსჯავრდება, რომელთაც ჩადენილი აქვთ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სახელმწიფოში იქნა ეს დანაშაული ჩადენილი, და ისეთი შემთხვევების ჩათვლით, როცა დანაშაულს ადგილი ჰქონდა ერთზე მეტ სახელმწიფოში.

49. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის, ასევე პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით ინდივიდთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის დებულებათა შესაბამისად, შექმნან და შეინარჩუნონ საინფორმაციო სისტემა, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიებისა და ბრალდებისთვის.

## VII. კოორდინაციისა და თანამშრომლობის ღონისძიებები

### i. ეროვნული დონეზე

50. შექმნან ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე და ამ საკითხისადმი მრავალდარგოვანი მიღების თრგანიზებაზე პასუხისმგებელი მაკორდინირებელი მექანიზმი.

51. გამიოყენონ ეს მექანიზმი ინფორმაციის გაცვლის წახალისების, სტატისტიკის შეგროვების და საველე მუშაოებისას მიღებული პრაქტიკული აღმოჩენების, ტრეფიკინგის ტენდენციების და ეროვნული პოლიტიკის შედეგების შეფასებისათვის.

52. გამოყენონ ეს მექანიზმი სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მექანიზმებთან კავშირის შესანარჩუნებლად, მოქმედებათა შეთანხმების და ტრეფიკინგთან ბრძოლისათვის გამიზნული ეროვნული და საერთაშორისო სტრატეგიების, მეთვალყურეობის, გადასინჯვის და განხორციელებისათვის.

## ii. საერთაშორისო დონეზე

53. რამდენადაც შესაძლებელია გამოიყენონ ტრეფიკინგთან მიმართებით გამოყენებადი ყველა ხელმისაწვდომი საერთაშორისო საშუალება და მექანიზმი, განსაკუთრებით ტრეფიკინგიდან მიღებული მოგების დაკავებასა და კონფიდენციალურობის დაკავშირებით.

54. ტრეფიკინგთან ბრძოლის კოორდინაციის მიზნით დააარსონ საერთაშორისო ორგანო, რომელსაც ექნება სპეციალური პასუხისმგებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისად ჩამოაყალიბოს უგზო უკვლოდ დაკარგული პირების ევროპული კარტოთეკა.

55. გაზარდონ და გააუმჯობესონ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა, როგორც ორმხრივ დონეზე, ასევე ტრეფიკინგთან ბრძოლაში ჩაბმული საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.

56. მთავრობები მოწვეულნი არიან განიხილონ დანაშაულიდან მიღებული მოგების გათვალრების, მოძიების, დაკავების და კონფიდენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (1990), გადასინჯული ევროპის სოციალური ქარტიის (1996) და ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმის, რომელიც ქმნის კოლექტიური საჩივრების სისტემას (1995), ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ ევროპული კონვენციის (1996), ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (1979), და მისი ფაკულტატური ოქმის (1999), ასევე ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის (1989) ხელმოწერისა და რატიფიკაციის საკითხი, თუკი მათ ჯერ არ გაუკეთებიათ ეს, ან/და ასევე ამ საშუალებებისადმი არსებული დათქმების გამოხმობის საკითხი.

57. მთავრობები მოწვეულნი არიან თავიანთ ეროვნულ სისტემაში მოახდინონ იმ პრინციპებისა და სტანდარტების ამოქმედებისთვის ყველა საჭირო დონისძიების გატარება, რომლებიც ჩადებულია ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიღებულ სამოქმედო პროგრამაში (ბეიჯინი, 4-15 სექტემბერი 1995), განსაკუთრებით კი IV-D ნაწილში, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

ქალთა სტატუსის შესახებ კომისიის 42 სესიაზე შეთანხმებულ დასკვნებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ ქალთა და გოგონათა ტრეფიკინგის შესახებ რეგულარულად მიღებულ რეზოლუციაში, მინისტრთა კონფერენციაზე მიღებული დექლარაციაში, რომელიც მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგთან ბრძოლისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა ძირითად მიმართულებებს (ჰაგა, 24-26 აპრილი 1997), ასევე წევრი სახელწიფოებისადმი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ რეკომენდაციებში: დანაშაულებრივი წარმოშობის თანხების გადარიცხვისა და შენახვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაცია № R (80) 10, სისხლის და საპროცესო სამართლის ფარგლებში მსხვერპლის მდგომარეობის შესახებ რეკომენდაცია № R (85) 11 და მსხვერპლთა დახმარების და მსხვერპლად ქცევის თავიდან აცილების შესახებ რეკომენდაცია № R (87) 21.

## განმარტებითი მემორანდუმი

### I. წინასწარი შენიშვნები სქოლი №1

#### A. ისტორიული ფონი

ტრეფიკინგის მოვლენა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის საგრძნობლად შეიცვალა. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ორგანიზებულ იქნა როგორც ევროპელი ქალების ფართომასშტაბიანი მიგრაცია ამერიკის კონტინენტსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, ასევე ქალთა ტრეფიკინგი ევროპაში.

1902 და 1910 წლებში პარიზში ჩატარდა ორი საერთაშორისო კონფერენცია, რათა ბოლო მოედოთ იმისათვის, რაც საზოგადოდ “თეთრი მონობის” სახელით იყო ცნობილი. ეს სამუშაო დასრულდა თეორი მონებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (პარიზი, 4 მაისი 1910 წელი) ხელმოწერით, რომელიც შემდგომ შევსებულ იქნა საერთაშორისო კონვენციით ქალთა და ბავშვთა უკანონო ვაჭრობის აღკვეთის შესახებ (30 სექტემბერი 1921 წელი) და საერთაშორისო კონვენციით სრულწლოვანი ქალებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთის შესახებ (ჟენევა, 11 ოქტომბერი 1933 წელი). ადამიანებით უკანონო ვაჭრობის და სხვათა პროსტიტუციის ექსპლოატაციის აღკვეთის შესახებ კოონვენციამ (ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი 1949 წელი) ნაწილობრივ გააუქმა და შეცვალა ადრეული საერთასორისო საშუალებების დებულებები.

## В. ადამიანთა ტრეფიკინგი დღეს: გლობალური მოვლენა

კომუნიკაციების განვითარებამ და მსოფლიოში ეკონომიკურმა დისტალანსმა ტრეფიკინგი უფრო საერთაშორისო გახადა, ვიდრე ოდესმე. თავიდან არსებობდა თეორი მონებით უკანონო ვაჭრობა, შემდგომ ტრეფიკინგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ახლა კი არსებობს ადამიანთა ტრეფიკინგი უფრო არახელსაყრელი რეგიონებიდან უფრო აყვავებულ რეგიონებში, მათი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად (მაგრამ, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპისაკენ).

## 1. კონტექსტი

ბოლო ხანგბში ადმიანთა ტრეფიკინგი (ძირითადად ქალების და გოგონების, თუმცა მსხვერპლთა შორის მამაკაცებიც შეიძლება აღმოჩნდნენ), მსოფლიო მასშტაბით განვითარდა და ვნებს მთელს პლანეტას. ორდესაც შეუძლებელია ემიგრაციის მისწრაფების დაკმაყოფილება კანონიერი გზით, მიგრანტობის მსურველი მიმართავენ შეამავლებს, რომლებიც ხშირად ორგანიზებული დანაშაულის რგოლის წევრები აღმოჩნდებიან და რომლებიც, ფაქტობრივად, პროსტიტუციისათვის გამიზნულ ადამიანთა “რიგების განახლებაზე” არიან პასუხისმგებელი. ევროპის ცალკეულ ნაწილებში, განსაკუთრებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 80-იანი წლების ბოლოდან არსებული სიტუაცია (საზღვრების გახსნით, მზარდი უმუშევრობითა და სიღარიბით, სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევითა და ნაკლები კონტროლით) უკანონო ტრეფიკინგის, და განსაკუთრებით სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისაკენ იხრებოდა.

ამ ტენდენციის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა რომ არა სექსუალური ესქსპლუატაციის სფეროში სპეციალური ქსელის განვითარება, რომელიც მოთხოვნას ეკრანზე. კლიენტები პროსტიტუციის სისტემის ნამდვილი უკრედები არიან. კლიენტი, პროსტიტუციის ბაზის მამრობითი სქესის მყიდველი, ზოგადად ანონიმური ან უხილავი რჩება, გარდა ბავშვებზე განხორციელებული სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების შემთხვევებისა. თუმცა იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრეფიკინგში (ი.e. ასევე, ცხელით გაჭრობის კლიენტით).

## 2. የጥቅምት ንግድ በኋላ

ადმინისტრაციული მაღალშემოსავლიანი საქმიანობა გახდა, რომელსაც  
მართავს დანაშაულებრივი ქსელი. ეს ქსელი რამოდენიმე ტიპის  
ორგანიზაციისაგან შედგება.

**დიდი ორგანიზაციებისათვის** დამახასიათებელია იერარქიული საერთაშორისო სტრუქტურა, ყველა დონეზე პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირებით, როგორც წარმოშობის, ისე დანიშნულების სახელმწიფოებში. ტრაფიკინგს ზოგადად ადგილი აქვს კანოიერ საფარს მიღმა და ტრანზიტისა და დანიშნულების განსხვავებულ სახელმწიფოთა სამართლისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის სრულყოფილ ცოდნას ემყარება.

მსხვერპლს ჰპირდებიან მაღალ ანაზღაურებას დანიშნულების სახელმწიფოში. ზოგჯერ დასაწყისში არსებობს ზეპირი ან წერილობით შეთანხმება, რომ ისინი იმუშავებენ მიმტანებად, მოცეკვავებად, “უფროს მიმტანებად” ან მეძავებად. სხვა შემთხვევებში ისინი ტუუვდებიან კარგი სამსახურის მიღების პერსპექტივით, პროსტიტუციაზე ყოველგვარი მინიშნების გარეშე. მსხვერპლთ განაცხადეს, რომ ისინი გადაჟყავდათ ჯგუფებად და ვიდრე მიაღწევდნენ დანიშნულების აღგილს, გაიაეს რამდენიმე შუამავლის ხელში (ზოგჯერ რამდენიმე სახელმწიფოზე). გზად ისინი გადიოდნენ სამედიცინო შემოწმებას შიდსხე ან სხვა ვენერიულ დაავადებებზე. მგზავრობის განმავლობაში საზოგადოდ მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ თუ სად იმყოფებოდნენ ან საით მიჰყავდათ. ზოგჯერ ტრანზიტულ სახელმწიფოში მათ განაცალკევდნენ და მეძავობას აიძულებდნენ. დანიშნულების აღგილზე ჩასვლისას მათ ართმევდნენ პასპორტებს.

**საშუალო ზომის ორგანიზაციები** ძირითადად იმით განსხვავდებიან დიდი ორგანიზაციებისაგან, რომ სხვა ჯგუფებზე არ ყიდიან მსხვერპლთ, არამედ ისინი თავიანთი კონტროლის ქვეშ ჰყავთ, ათავსებენ რა თავიანთ ბორდელებსა და კლუბებში. ამ ორგანიზაციის მსხვერპლი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, იძულების ქვეშ ხელს აწერენ ვალის აღიარების შესახებ ცნობებს (ხშირად წარმოშობის სახელმწიფოს დატოვებამდე მათ უწევთ მნიშვნელოვანი ვალის აღება), და მათ აიძულებენ პროსტიტუციით მათი გამომუშავების დიდი ნაწილი გადსცენ ოთახებითა და სხვა საშუალებებით სარგებლობისათვის. მათზე განხორციელებული ზეწოლა ხშირად ძალიან მძიმეა: მსხვერპლთ აკავებენ მათი ნების წინააღმდეგ, ცემენ, აუკატიურებენ, აძლევენ ნარკოტიკებს, არასათანადო კვებავენ და აჯარიმებენ თუკი ისინი არ ასრულებენ ორგანიზაციის ბრძანებებს.

**მცირე ორგანიზაციები** ეფუძნება კაბარეებისა და მსგავსი ტიპის სხვა დაწესებულებების მოთხოვნას და ამარაგებს მათ ქალებით/მამკაცებით.

არსებობს ასევე მცირერიცხოვანი **ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც უვროკაში შევისწენენ** ამ ორგანიზაციებში გაჯიოს გარეშე. ეს ადამიანები საზღვრის გადასაკვეთად იყენებენ როგორც კანონიერი, ისე უკანონო მეთოდების ფართო სპექტრს, ხშირად სხვათა დახმარებასაც, რომლებიც სარგებლობენ მათი ზემგრძნობიარე მდგომარეობით.

მიუხედავად იმ საშუალებისა, რომლითაც მსხვერპლი შევიდა დანიშნულების ქვეყანაში—ტრეფიკინგის შუამავალი რგოლის გავლით თუ არა—ისინი თითქმის ყოველთვის შედიან პროსტიტუციის იმავე წრეში, სადაც ვალდებული არიან გამოიყენონ დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ”სამსახური“.

### **3. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა განსხვავებული კანონმდებლობა**

წევრ სახელმწიფოთა შესაბამის კანონმდებლობებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები. ზოგიერთი სახელმწიფო სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგს სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს, სხვები კი ზოგადად აღამიანთა ტრეფიკინგს აკვალიფიციერებს ასეთად, მაშინ როცა სხვებს ჯერ კიდევ საერთოდ არ გააჩნიათ სპეციალური დებულებები.

პროსტიტუციასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული სამართლებრივი სისტემები თუ პრატიკა. ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს ”აკრძალვას“

(პროსტიტუცია აკრძალულია და მომხმარებელი ისჯება); სხვები ახორციელებენ “ლეგალზებას” ან “რეგულირებისაკენ მისწრაფებას” (სრულწლოვანი ადამიანების მიერ პროსტიტუციის გამოყენება არ არის დასჯადი) ან ისევ “აღკვეთის” სისტემას (პროსტიტუცია არ არის სამართალდარღვევა მაგრამ მისი მოხმარება არის).

ეს არსებითი განსხვავებები საერთაშორისო დონეზე წარმოშობს სერიოზულ დავას იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთა საწყისი პოზიციები დაპირისპირებული ან ძნელად შეჯერებადია.

### **C. ტრეფიკინგთან ბრძოლისათვის საერთაშორისო დონეზე შემუშავებული ღონისძიებები**

საერთაშორისო საზოგადოება, შენიშნავს რა ადამიანთა ტრეფიკინგის საგრძნობი ზრდას, მიიღო ზომები ამ მოვლენასთან საბრძოლველად. ამომწურაობაზე პრეტენზის გარეშე ეს ნაწილი კვალდაკვალ მიჰყება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ სფეროში გატარებულ ღონისძიებებს, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული რეკომენდაციის ავტორების მიერ.

#### **1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ხაზი გაუსვეს, რომ ადამიანთა ტრეფიკინგი წარმოადგენს მსხვერპლის ძირითადი უფლებების უხეშ დარღვევას. მათ აღნიშნებს, რომ ტრეფიკინგი გახდა უმთავრესი საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა და მოუწოდეს ამ მოვლენის აღმოფხვრისა და ძალადობის ამ ფორმის მსხვერპლთა დახმარებისაკენ, რომლებიც ძირითადად ქალები და გოგონები არიან. ამ საკითხს უკავშირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალი მოხსენება, რეზოლუცია და სამოქმედო პროგრამა. განსაკუთრებით აღსანისნავია:

- ქალებითა და გოგონებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ყოველწლიური რეზოლუცია.

- ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და თანამდევი შედეგების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის გადაცემული მოხსენება იძულებითი პროსტიტუციისა და ქალთა ტრეფიკინგის შესახებ (დოკუმენტი E/CN.4/1997/47).

- ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციის მიერ მიღებული ვენის სამოქმედო პროგრამა (ვენა, 14-25 ივნისი, 1993 წელი) და გენერალური ასამბლეის დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ (1993 წელი, დეკემბერი) აცხადებენ რომ წევრი სახელმწიფოები “შეშფოთებულნი არიან იმით რომ ქალთათვის შეზღუდულია შესაძლებლობა მიაღწიონ საზოგადოებაში სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანასწორობას, *inter alia*, ქალთა მიმართ განგრძობადი და ფესვგადგმული ძალადობის გამო.

— ადამიანთა კვლავწარმოებისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული ქაიროს სამოქმედო პროგრამა (ქაირო, 5-13 სექტემბერი, 1993 წელი) და ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის მიერ მიღებული ბეიჯინის სამოქმედო პლატფორმა (ბეიჯინი, 4-15 სექტემბერი, 1995წ.) აწესებენ ქალისა და მამაკაცის თანასწორობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ძირითად პრინციპებს. ბეიჯინის სამოქმედო პლატფორმა განსაკუთრებით მოუწოდებდა წარმოშობის, ტრანზიტისა და დანიშნულების სახელმწიფოთა მთავრობებს და რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიემართათ ტრეფიკინგის წამახალისებელი ძირითადი ფაქტორებისათვის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სფეროში ზომების მიღებით, რომელიც გამოიწვევს ყველა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს შორის თანამშრომლობასა და რესურსების განთავსებას მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და თავიდან აცილების საგანმანათლებლო და ტრეინინგ-პროგრამებში.

## 2. ინტერპოლი

ინტერპოლმა, რომელიც პასუხისმგებელია კრიმინალური პოლიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეწყობაზე, მთავარი როლი უნდა ითამაშოს ტრეფიკინგთან ბრძოლაში. ადრეულ ეტაპზე წევრმა სახელმწიფოებმა გამოიქვეს წუხილი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიიდან დასავლეთ ევროპაში გადაყვანილ ქალთა პირველი ტალღის შედეგად. არსებობდა ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესების საჭიროება ისეთი უკანონო ქმედებების შესახებ, როგორიცაა ფიქტიური ქორწინება, უკანონო შესვლა და გაყალბებული საიდენტიფიკაციო საფუთების გამოყენება. ამ დროს მსჯელობის მთავარი საგანი იყო არა ამ ქმედებათა მსხვერპლი ქალების ინტერესები, არამედ უკანონო იმიგრაცია, როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა.

მისი გენერალური ასამბლეის მიერ მინიჭებული კომპეტენციის შესაბამისად, ინტერპოლმა მიიღო მრავალდარგოვანი მიღვომა, რომელიც ყველა უწყებას მოქმედებათა კოორდინაციისაკენ მოუწოდებდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის კავშირის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით ორგანიზებულ იქნა ერთობლივი კამპანია ადამიანთა ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის ექსპლუატაციის წინააღმდეგ. ამ სფეროში სამომავლო პროექტებში შესაძლოა შევიდეს სახელმძღვანელოს გამოქვეყნება, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება კომპეტენტური ორგანოები, საკონტაქტო პუნქტები და განყოფილებები, რომელთაც ამ სფეროში სპეციალური ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ. თავისი განსაკუთრებით უფექტური საინფორმაციო ქსელის მეშვეობით ინტერპოლმა დაიწყო ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ მონაცემთა შეგროვება.

## 3. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ბოლო ხანებში ადამიანთა ტრეფიკინგის სფეროში განხორციელებული საქმიანობებიდან რეკომენდაციის ავტორებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო იყო მიგრაციის ინფორმაციის პროგრამებით მომზადებული მოხსენებები და პუბლიკაციები სქოლიო №2. პროექტის ავტორებმა ასევე განიხილეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უვროპული კომისიის “სტოპ” პროგრამისათვის გატარებული

“ადამიანთა, განსაკუთრებით სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის შესახებ ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ხელმისაწვდომი მონაცემებისა და სტატისტიკური რესურსების ანალიზის” პროექტის (1998წ.) შედეგები.

#### 4. ბუდაპეშტის პროცესი

რეკომენდაციის პროექტის აგტორები მიყენენ ამ პროცესის შესაბამისად ჩატარებულ სამუშაოს, განსაკუთრებით კი უკანონო მიგრაციის თავიდან აცილების შესახებ პრაღაში ჩატარებულ მინისტრთა კონფერენციას (ოქტომბერი, 1997წ.).

#### 5. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

პირდაპირ დაინტერესებულნი არიან რა ამ პრობლემით, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა მრავალგზის გამოხატეს თავიანთი შეშფოთება ტრეფიკინგის მოვლენის მასშტაბებთან დაკავშირებით სქოლი №3.

#### 6. ევროპის კავშირი

ევროპის კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება მაქსიმალურად ითანამსრომლონ ადამიანთა ტრეფიკინგის, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ. აღნიშვნის ღირსია რამდენიმე ინიციატივა და მოქმედება:

ევროპულმა პარლამენტმა მიიღო რეზოლუციების მთელი რიგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში მოწმეთა დაცვის შესახებ რეზოლუცია (OJ № C 327 (1995)), ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ რეზოლუცია (OJ № C 32 (1996)) და ძალადობის მცირეწლოვან მსხვერპლთა შესახებ რეზოლუცია (OJ № C 320 (1996წ.)).

ევროპული კომისიის მიერ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ორგანიზებული სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგის შესახებ ევროპული კონფერენციის (ვენა, 10-11 ივნისი, 1996წ.) დასკვნებმა გამოიწვია ამ საკითხებთან დაკავშირებით ევროპული პარლამენტისა და საბჭოს კომისიის მიმართვა (COM (96) 567 საბოლოო), რომელიც შემდგომ შევსებულ იქნა მეორე მიმართვით (COM (98) 726). ამ დოკუმენტების ერთ-ერთი ძირითადი დასკვნაა ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის და მიგრაციაზე, იუსტიციისა და სოციალურ საკითხებზე პასუხისმგებელ ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კორდინაციის საჭიროება და ისეთ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანოზაციებს შორის კავშირების დამყარება, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, ევროპის კავშირის ორგანოები და სხვა რეგიონული დაჯგუფებები, რათა სარგებელი მიიღონ უფრო სრულყოფილი პოლიტიკის გატარებიდან. მიმართვები შეეხებოდა ევროპის საბჭოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კომისიის მიერ გატარებულ სხვადასხვა ღონისძიებას (იხ. ქვემოთ).

ეს დონისძიება განმტკიცებულ იქნა საბჭოს მიერ ერთობლივ მოქმედებებთა მიღებით, რომელიც ეფუძნებოდა ევროპის კავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლს, რომელიც ეხება ადამიანთა ტრეფიკინგსა და ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციასთან ბრძოლისათვის გასატარებელ მოქმედებებს (96/700/JAI და 97/154/JHA). ეს ერთობლივი ქმედებები მიღებულ იქნა სხვა საკითხებთან ერთად სამართლებრივი თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგის საკითხზე მინისტრთა კონფერენციის მიერ მიღებული დეკლარაცია (პაგა, 24-26 აპრილი, 1997წ.) შეიცავს ძირითად მიმართულებებს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგის თავიდან აცილებისა და ბრძოლის ეფექტური ზომებისათვის.

ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა ახლა ევროპოლის მანდატის ნაწილია, რომელმაც უკვე განახორციელა დონისძიებები ამ სფეროში.

ევროპის კავშირის მიერ წარმოდგენილ იქნა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის რამდენიმე პროგრამა (“სტრა”, “დაფუნქ” და ა.შ.).

#### **D. რეკომენდაციის წყაროები: ევროპის საბჭოს ნაშრომი**

90-იანი წლების დასაწყისში ევროპის საბჭომ, განსაკუთრებით ქალისა და მამაკაცის თანასტორობის შერეულმა კომიტეტმა, წამოიწყო თანამედროვე ფორმით ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა დონისძიებები.

ქალისა და მამაკაცის თანასტორობის შერეულმა კომიტეტმა ორგანიზება გაუწია კვლევისა და შესწავლის დონისძიებებს: ქალებით უკანონო ვაჭრობის და იძულებითი პროსტიტუციის, როგორც ადამიანის უფლებათა და პიროვნების დირსების დარღვევის საწინააღმდეგო ქმედებათა შესახებ სემინარს (სტრასბურგი, 25 სექტემბერი, 1991წ.) მოჰყვა ექსპერტთა ჯგუფის შექმნა ქალებით უკანონო ვაჭრობისა და იძულებითი პროსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებათა შესახებ (1992-1993წწ.).

ამ სამუშაოს შედეგად, კონსულტანტმა ქ-ნმა მიშეღ პირშმა (ბელგია), ქალისა და მამაკაცის თანასტორობის შერეული კომისიის მოთხოვნით მოამზადა ქალებით უკანონო ვაჭრობისა და იძულებითი პროსტიტუციის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა (EG (96)2). ეს გეგმა, როგორც სამთავრობო მოქმედებათა ნამდვილი პლატფორმა, მრავალ მინიშნებას შეიცავს იმ ზომების გააზრებისა და კვლევისათვის, რომელიც დაკავშირებულია ტრეფიკინგთან ბრძოლის სამართლებრივ დეულებებთან, სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ, საპოლიციო, თავიდან აცილების და საგანმანათლებლო ზომებთან.

სხვა მოქმედებები უფრო მეტად მიმართული იყო შემუცების ამაღლებისაკენ:

ქალისა და მამაკაცის თანასტორობის შერეულმა კომიტეტმა ორგანიზება გაუწია საერთაშორისო სემინარს თემაზე “სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მოქმედებები: არასამთავრობო ორგანიზაციების როლი (სტრასბურგი, 29-30 ივნისი, 1998წ.”). ამ სემინარის დასკვნები (ესტრებოდა 150-ზე მეტი ადამიანი მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან) მოუწოდებდა ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედებებისაკენ, განსაკუთრებით

თანამშრომლობისაკენ სხვადასხვა ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეულმა კიმიტეტმა ჩაატარა სიმპოზიუმი თემაზე: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ქალის იმიჯთან დაკავშირებული “კარგი” და “ცუდი” პრაქტიკა: სექსუალური ესპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის შემთხვევა (სტრასტურგი, 29-30 ივნისი, 1998წ.). ამ სიმპოზიუმზე უკრნალისტები და მედიის სხვა მუშაკები ექვემდებარებიას სენსაციონალიზმის თავიდან აცილებისა და ამავე დროს ტრეფიკინგის უცვლელი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისათვის.

ბოლო წლებში წარმოშობის მრავალ სახელმწიფოში (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, უკრაინა) ორგანიზებულ იქნა მრავალი სემინარი, იმ მიზნით რომ სხვადასხვა მოქმედი პირები (პოლიცია, მოსამართლეები, სოციალური სფეროს მუშაკები, საელჩოს პერსონალი, მასწავლებლები) მოემზადებინათ თავიანთი როლისათვის ტრეფიკინგის მსხვერპლთან და იმ საშიშროებასთან მიმართებაში (vis-a-vis), რომელიც ცალკეულ პირებს ემუქრებათ. 1999 წელს ალბანეთში კოსოვოდან ლტოლვილთათვის ორგანიზებულ იქნა ტრეფიკინგის საფრთხის შესახებ ინფორმირებისა და თავიდან აცილების კამპანია სქოლიო №4.

სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ინტერპოლი, ევროპოლი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი და ა.შ.) თანამშრომლობით.

#### E. რეკომენდაციის ავტორები და მათი მიდგომა

მთელი ამ სამუშაოს შემდეგ, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კიმიტეტი დარწმუნდა, რომ ტრეფიკინგი დამარცხებულ იქნებოდა მხოლოდ მრავალდარგოვანი და შეთანხმებული მიდგომის საშუალებით, რომელშიც ჩართული იქნებოდა ყველა დაკავშირებული მხარე ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე კიმიტეტმა აუცილებლად მიიჩნია განევითარებინა ევროპის საბჭოს სხვადასხვა კომიტეტის მიერ უპე განხორციელებული ღონისძიებები ამ ტიპის სამართლდარღვევების თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის სტრატეგიის განსაზღვრის ინიციატივის აღებით. ევროპის საბჭოს სხვადასხვა კომიტეტებთან კონსულტაციების შემდეგ, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, ადამიანის უფლებათა და მასობრივი ინფორმაციის სფეროებთან, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კიმიტეტის ხელმძღვანელობით დაარსდა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებების მრავალსექტორული ჯგუფი სქოლიო №5.

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ჯგუფს შეადგენდნენ ექსპერტები ევროპის საბჭოს რამდენიმე კომიტეტიდან სქოლიო №6, ის იწყებს მუშაობას 1997 წლის დეკემბერში და ასრულებს 1999 წლის თებერვალში, ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარდა რა სამი სამუშაო შესვედრა.

მრავალსექტორული ჯგუფი სწავლობდა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის, განსაკუთრებით კი ქალებითა და ბავშვებით, კონკრეტულად ახალგაზრდა გოგონებით, უკანონო ვაჭრობის თავიდან აცილების მეთოდებს. რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მას რეალურად დაქმარებიან მსხვერპლის ინტერესების დაცვაში, სამართალდამრღვევთა ბრალდების უზრუნველყოფასა და სხვა დაკავშირებული მხარეების, როგორიცაა სამედიცინო, სოციალური და სასამართლო ორგანოები, სამართალდამცავი სამსახურები, მიგრაციის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესების პატივისცემაში. ისინი წარმოადგენენ ძირითად მიმართულებებს, რომლებსაც სახელმწიფო თავისი გადაწყვეტილების მიხედვით გამოიყენებს ეროვნული გარემოებების შესაბამისად.

## II. რეკომენდაციის დებულებების კომენტარები

### პრეამბულა და დებულებები

ევროპაში ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებული ვითარების გახსენების შემდეგ, რეკომენდაცია მოუხმობს საერთაშორისო ხასიათის სახელმძღვანელო დოკუმენტებს და გმობს ტრეფიკინგს როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევას.

### 1. კონტექსტი

პრეამბულა იწყება ტრეფიკინგის მოვლენის კონტექსტის მოკლე აღწერით: ევროპაში სწრაფი ზრდა და მსგავსება ორგანოზებული დანაშაულის კატეგორიასთან. ასეთი სიტუაციის პირისპირ აუცილებელი ხდება კოორდინირებული სტრატეგიის შექმნა და უპირველეს ყოვლისა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდებლობების პარმონიზაციის საზუძველზე, მისი აუცილებელი განხორციელება. ტერმინი “შესაბამისი კანონმდებლობა” ეხება სამოქალაქო, სოციალურ და სისხლის სამართლის სფეროებს.

რაც შეეხება ტრეფიკინგის უფრო ზოგად კონტექსტს, იხ. აგრეთვე კომენტარები ზემოთ (“წინასწარი შენიშვნების” სათაურის ქვეშ).

### 2. საერთაშორისო ხასიათის სახელმძღვანელო დოკუმენტების საძიებელი

პირველ ყოვლისა მოხმობილ უნდა იქნეს, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა მეორე სამიტის საბოლოო დეკლარაციაში (სტრაბურგი, 10-11 ოქტომბერი, 1997წ.) გადაწყვიტეს ისტრაფვოდნენ ევროპის მასშტაბით ორგანიზებული დანაშაულის ზრდით განპირობებულ გამოწვევაზე ერთგვაროვანი რეაგირებისაკენ და გააქტიურონ თანამშრომლობა ბავშვთა სამართლებრივი დაცვის გაძლიერების მიზნით და დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება ებრძოლონ ქალთა მიმართ ძალადობას და ქალთა სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმას. ამ დეკლარაციის გავლენა განმტკიცებულ იქნა ევროპის საბჭოს ორმოცივე წევრი სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ფაქტობრივი დასწრებით და ხელმოწერით.

ამ სამუშაოს მიმდინარეობისას პროექტის ავტორები მუდმივად მიმართავდნენ შემდეგ დოკუმენტებში დაცულ პრინციპებს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1950), ევროპის სოციალური ქარტია (1961),

შესწორებული ევროპის სოციალური ქარტია (1996) და ევროპის სოციალური ქარტის დამატებიტი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას (1995), დანაშაულიდან მიღებული მოგების გათეთრების, მოძიების, დაპავებისა და კონფისკაციის შესახებ ევროპული კონვენცია (1990) და ბავშვთა უფლებების განხორციელების ევროპული კონვენცია (1996), რომლებიც ძირითადია ევროპის საბჭოს მოქმედებებისათვის. მათ ასევე მხედველობაში მიიღეს ევროპის კავშირის ადამიანთა ტრეფიკინგისა და ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების ძირითად მიმართულებები (1997წ.), ევროპის კავშირის ხელშეკრულების K 3. მუხლზე დაფუძნებული კონვენცია ევროპული პოლიციის სამსახურის დაარსების შესახებ (ევროპოლის კონვენცია) (1995წ.), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის უველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979წ.) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1989წ.).

პრეამბულის ტექსტი ასევე ჩამოთვლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ მთელ რიგ რეკომენდაციებს სქოლით №7, რომლებსაც მიმართავდნენ დოკუმენტის მომზადებისას.

### 3. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის დაგმობა

რეკომენდაცია გმობს ადამიანთა ტრეფიკინგს, რომელიც ვერ იქნება ზემოთაღნიშნული დოკუმენტების პრინციპებსა და განხორციელებასთან შესაბამისობაში.

მათი კომპეტენციის თანახმად (იხ. სქოლით №5) პროექტის ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ ქალებსა და მცირეწლოვანებზე. ეს შეესაბამება ხელმისაწვდომ სტატისტიკას (უპირველეს ყოვლისა მადლობა არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებიც ეხმარებიან და მხარს უჭერენ მსხვერპლთ), რომელიც ცხადყოფს რომ თუმცა მამაკაცები და ვაჟები შეიძლება იყვნენ ტრეფიკინგის მსხვერპლი, ეს მოვლენა ძირითადათ ქალებსა და გოგონებს ვნებს.

### რეკომენდაციის დანართი

I / II ძირითადი პრინციპები, ცნებები და ზოგადი ზომები

ზოგად ლონისძიებებთან ერთად რეკომენდაციაში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები და ცნებები ქმნიან ტრეფიკინგთან ბრძოლის ძირითად მიმართულებებს, რომლებიც მთავრობების გაწეული მოქმედებების საფუძველს წარმოადგენენ.

### **პუნქტი 1, 2, 3, 4 და 5**

**კონტექსტი:** ტრეფიკინგის განმარტება როგორია, ვინაიდან ეს არ არის ერთმნიშვნელოვანი ცნება, მაშინაც კი, და ალბათ განსაკუთრებით როცა საკითხი შეეხება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს. სხვადასხვა საერთაშორისო საშუალება, რომელიც ტრეფიკინგს შეეხება, და ეროვნული დოკუმენტი, სადაც ასეთი არსებობს, ტრეფიკინგის ამ ფორმას მეტ-ნაკლებად ფართოდ განსაზღვრავენ, იმისდა მიხედვით, ის ყველა ადამიანს შეეხება თუ მხოლოდ ყველაზე მგრძნობიარეთ და აგრეთვე იმის მიხედვით არის თუ არა მიზანი აღსრულება.

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგი ერთგვაროვნების არმქონე მრავალსამიზნიანი მოვლენაა. მასში არსებობს მრავალი ცვლადი: მონაწილე ადამიანთა რიცხვი, ტრეფიკინგის განმახორციელებლების ტიპი, მსხვერპლი და “კლიენტი” ან “მომხმარებელი”, და ასევე ორგანიზებულობის ხარისხი რასაც ის ეფუძნება და მისი ფარგლები, იმისდა მიხედვით რჩება ტრეფიკინგი ეროვნულ საზღვრებში თუ ვრცელდება სხვა სახელმწიფოებში თუ კონტინენტზეც კი.

**ადამიანის უფლებათა დარღვევა:** პროექტის ავტორებმა შეარჩიეს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგისადმი მრავალმხრივი მიღომა. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგის სპეციალური ფორმებისა ან სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების განსაზღვრებული მგრძნობიარობის უარყოფის გარეშე, რამაც შეიძლება განსხვავებული ზომების საჭიროება წარმოშვას, უპირველესი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენის, როგორც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის და პიროვნების ღირსებისა და პატივის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგად დაგმობას.

**მოქმედებათა ჩარჩოს შექმნა:** ამ პრინციპის დაგმობის გარდა რეკომენდაცია სახელმწიფოებს სთავაზობს ტრეფიკინგის საწინაღმდეგო მოქმედებების განხორციელების საფუძველსა და მეთოდებს. სახელმწიფოები წახალისებულნი არიან დოკუმენტში ჩამოთვლილი მრავალი პრიორიტეტული მოქმედება განახორციელონ თავიდან აცილების ზომების, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების და სამართალდამრღვევთა დასჯისა და მოპყრობის სხვადასხვა საფეხურზე, ძალზე აუცილებელი საერთაშორისო თანამშრომლობის მოცულობის დავიწყების გარეშე.

ამ რეკომენდაციის მიზნებისათვის მიღებული ტრეფიკინგის განმარტება შემუშავებული იქნა ამ კონტექსტში და ამ მიზნის მსედველობაში მიღებით. ეს განმარტება ისწრაფვის შეაჯეროს ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების, პატივისა და ღირსების პატივისცემის უზრუნველყოფის საჭიროება და ამ როგორ მოვლენასთან დაპირისპირებული ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში არსებულ კანონმდებლობებს შორის განსხვავებასთან.

**მიღებული განსაზღვრება** ისწრაფვის მოიცვას იმ მოქმედებათა მთელი ჯაჭვი, რომელსაც მსხვერპლთა ექსპლუატაციამდე მივყავართ. ეს მოიცავს მომავალ მსხვერპლთა “რიგების განახლებას”, მათი გადაყვანის ორგანიზებას და ბოლო საფეხურს, რაც წარმოადგენს სწორედ მათ სექსუალურ ექსპლუატაციას. გამოთქმები “და/ან” და შემდგომში “*inter alia*” ასახავს პროექტის ავტორთა მისწრაფებას მოეხდინათ სხვადასხვა შესაძლებელი საფეხურებს ჩამოთვლა, რადგანაც ტრეფიკინგს შეუძლია არსებობა ყველა მათგანის აუცილებელი ჩართვის გარეშე.

**განსაზღვრების ელემენტები:** განსაზრვრება მოიცავს მსხვერპლთა ხელახალი განთავსების ორგანიზების ცნებას “ტრანსპორტირებისა” და “მიგრაციის” გამონათქვამების ქვეშ. ეს მოიცავს საზღვრის გადაკვეთას და საჭიროებს როგორც თავიდან აცილების ასევე აღსრულების სპეციალურ ზომებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ტრანსპორტირება ან მიგრაცია შეიძლება იყოს “კანონიერი ან უკანონო”: ტრეფიკინგის ზოგიერთ შემთხვევაში პირები სახელმწიფოში შეყვანილ არიან უკანონოდ ან ბინადრობის სამართლებრივად უნაკლო ნებართვის გარეშე, მაგრამ სხვა შემთხვევებში პირები ქვეყანაში შედიან კანონიერი ფორმებით, მათ შორის როგორც ტურისტები, საცოლეები, მსახიობები, მოსამსახურები, ოპერი გოგონები და პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსის მომთხოვნი, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაზე. ტრეფიკინგის შემთხვევები შეიძლება არსებობდეს მაშინაც როცა საზღვრის გადაკვეთის და სხვა სახელმწიფოში დარჩენის პირობები კანონიერია. ტრეფიკინგის რგოლებმა იციან სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობები და ისინი უკანონო ვაჭრობის ორგანიზების კანონიერ საშუალებებს პოულობენ. ამიტომ პროექტის ავტორებმა უკანონო ვაჭრობის განსაზღვრისას არ მიიღეს მხედველობაში დანიშნულების სახელმწიფოში შესვლისა და დარჩენის კანონიერება თუ უკანონობა.

პროექტის ავტორებმა მიიჩნიეს რომ ადამიანთა ტრანსპორტირებასა და მიგრაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ ადამიანთა თანხმობითაც.

თანხმობის საკითხის შესახებ დავა არ არის ახალი და ბოლოს და ბოლოს წამოჭრილ იქნა პროექტის ავტორების მიერ. არ არის ადგილი იმის განსაზღვრა თუ სად მთავრდება თავისუფალი არჩევანი და სად იწყება შეზღუდვა. ტრეფიკინგის შემთხვევაში ზოგიერთმა ადამიანმა არ იცის რა არის მისთვის მომზადებული, მაგრამ სხვებმა სავსებით კარგად იციან რომ ისინი პროეტიზაციისათვის არიან გამიზნული. ზოგიერთ მკვლევარს სჯერა, მკაცრად რომ ვთქვათ, არ არსებობს ტრეფიკინგი როდესაც ადამიანებმა იციან რის წინაშე დგებიან და მაინც სურთ ემიგრაცია. თუმცა შეიძლება ადამიანი ნებაყოფლობით წავიდეს ემიგრაციაში სამუშაოდ და თვითონ იმედავოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის თანახმად განიცადოს ძალადობა ან იყოს ამა თუ იმ გზით შეურაცხეოფილი.

რეკომენდაციის მიზნებისათვის პროექტის ავტორებმა გადაწყვიტეს თანხმობის პრინციპი გამოყენებინათ მომსახურების გაწევის ფაზაში. “თუნდაც მათი თანხმობით” ეხება ფაქტს დათანხმდნენ თუ არა პირებიტრანსპორტირებას ან მიგრაციას: ორივე შემთხვევაში სიტუაცია კვალიფირდება როგორც ტრეფიკინგი. პროცესის საწყის ეტაპზე თანხმობის არსებობა ან არ არსებობა არ არის

განმსაზღვრელი ფაქტორი, მათი არსებობის ფაქტის დადგენის სიძნელისაგან გამსხვავებით.

პროექტის ავტორებმა განიხილეს “მომგებიანი” მიზნებისათვის სექსუალური ექსპლუატაციის ცნების შემოღების საჭიროება.

ზოგიერთი ექსპერტი იმ აზრისა იყო რომ ტრეფიკინგი განმარტებული ყოფილიყო როგორც ადამიანის პროცესიტუციაში ძალით ჩაბმის ან სხვა ადამიანისათვის ფინანსური მოგების მიზნით სექსუალური მომსახურების გაწევის იძულებისათვის ჩადენილი მოქმედება.

სიღრმისეული განხილვის შედეგად პროექტის ავტორებმა ფინანსური მოგება ცნეს ტრეფიკინგის ძირითად ელემენტად, რამდენადაც ის იყო ტრეფიკინგის როგორც საწყისი ასევე შედეგიც (ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტრეფიკინგი და ფულის გათეორება როგორც ჩანს მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული). თუმცა გადაწყდა რომ ეს ელემენტი პირდაპირ არ შესულიყო რეკომენდაციის ტექსტში, რათა არ შეზღუდულიყო სექსუალური ექსპლუატაციის კონცეფცია. რეკომენდაცია შეეხება იძულებით და შეზღუდვის პირობებში გაწეულ ყველა სექსუალურ მომსახურებას, მიუხედავად იმისა ეს მომსახურება მიჩნეულია თუ არა სამუშაოდ და უხდიან თუ არა ამისათვის.

რეკომენდაციის მიზნებისათვის “**იძულებაზ**” შესაძლოა მოიცვას იზოლაცია, ცემა, გაუპატიურება, მუქარა, გაბატონებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ჩადენილი ძალადობა, ე. ი. ადამიანისაგან სექსუალური მომსახურების მიღება მისი არამდგრადი ან უკანონო ადმინისტრაციული მდგომარეობიდან, ეკონომიკური დამოკიდებულების ან ჯანმრთელობის არამდგრადი მდგომარეობიდან წარმოქმნილი ზემგრძნობელობის გამოყენებით.

რაც შეეხება **ტრეფიკინგის ჩამდენთ**, ისინი შეიძლება იყვნენ კერძო პირები, როგორიცაა კანდიდატების მომძიებელნი, კონდიტანდისტები, დანაშაულის თანამონაწილეები, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას შესაბამისი სახელმწიფოს საჯარო სამსახურში და აგრეთვე იურიდიული პირები რომლებიც ტრეფიკინგში მონაწილეობენ, როგორიცაა “სექს-მაღაზიები”, “ცოცხალი ჩვენებები”, ბორდელები და სხვა სექს საწარმოები, ან ისევ ცალკეული სასტუმროები და გასართობი დაწესებულებები, ტურიზმი და ბაგჟოთა პორნოგრაფიის შემთხვევაში ვიდეო და საგამომცემლო კომპანიები.

მცირეწლოვანების შემთხვევასი სქოლით №8 ყოველგვარი სქესობრივი აქტი დასჯადია. ზოგიერთ ევროპულ კანონმდებლობაში მცირეწლოვანის თანხმობა შესაძლოა განხილულ იქნას ე. წ. “სქესობრი სიმწიფის” ასაკის ზემოთ. ამ ასაკის ზემოთ მოსამართლეებს რჩებათ შეფასების უფლება შეეძლო თუ არა მცირეწლოვანს თანხმობის გამოხატვა.

### **ტრეფიკინგის მსხვერპლი არიან:**

- პირები, რომლებიც მათი სექსუალური ექსპლუატაციის გამომწვევ პროცესში შესვლის დასაწყისში ან მისი მიმდინარეობისას დაექვემდებარენ ძალადობას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ან მუქარას;

- პირები, რომლებიც მოტყუფბულ იქნენ ორგანიზაციების/ტრეფიკინგის განმახორციებლების მიერ და სჯეროდათ რომ მათ ჰქონდათ მიმზიდველი კონტრაქტი ჩვეულებრივ სამსახურზე ან სამუშაოზე, რომელიც არ იყო დაკავშირებული სექს ინდუსტრიასთან.

- პირები რომლებმაც იცოდნენ თრგანიზაციების/ტრეფიკინგის განმახორციებლების ნამდვილი განზრახვა და წინასწარ დათანხმდნენ სექსუალურ ექსპლუატაციას იმ ზემგრძნობიარ მდგომარეობის გამო რომელშიც აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარე მსხვერპლის ზემგრძნობელობის ბორიტად გამოყენება აშკარად მიჩნეულია ტრეფიკინგის შემადგენელ ნაწილად. მსხვერპლის ზემგრძნობელობის მდგონარეობა ნიშნავს ნებისმიერი სახის ზემგრძნობელობას, ფსიქოლოგიურს, უჯახურს, ხოციალურს თუ ეკონომიურს. მოკლედ, ის მოიცავს ყველა სახის სტრუქტულ მდგომარეობას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პირის მიერ სექსუალური ექსპლუატაციის მიღება. პირები რომლებიც ბორიტად იყენებენ ასეთ მდგომარეობას სჩადიან ადამიანის უფლებებისა და პიროვნების პატივისა და დირსების უხეშ დარღვევას, რომელიც ვერ იქნება კანონისმიერად უარყოფილი.

ამიტომაც აქ გათვალისწინებული სიტუაციები ძალზედ სხვადასხვაგვარია: შესაძლოა საქმე გვქონდეს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალების მოტაცებასთან, ბავშვების ცდუნებასთან პედოფილიის ან პროსტიტუციის რგოლებისათვის, სუტინიორების მიერ მექავების კონტროლის ქვეშ შენარჩუნების მიზნით ჩადენილ ძალადობასთან, სრულწლოვანის ან მოზრდილის ზემგრძნობელობის ბორიტად გამოყენებასთან, რომელიც შესაძლოა იყოს ან არ იყოს სექსუალური თავდასხმის მსხვერპლი, ან უფრო მარტივად, იმ მოზარდის არამდგრადი მდგომარეობის ან სიღარიბის ბორიტად გამოყენებასთან, რომელსაც იმედი აქვს რომ გაიუმჯობესებს თავის და ოჯახის მდგომარეობას. მაგრამ ეს განსხვავებული შემთხვევები იმ მოვლენის ხარისხის თვალსაზრისით უფრო განსხვავდებიან ვიდრე ბუნებით, რომელსაც ყოველთვის შეიძლება ეწოდოს ტრეფიკინგი და რომელიც ასეთი მეთოდების გამოყენებას ეფუძნება.

გამოძიება და ბრალდება უნდა იყოს მიმართული ტრეფიკინგის გამნახორციებლებისაკენ და არა ასეთი პრაქტიკის მსხვერპლისაკენ. მსხვერპლთა მზადყოფნა შეატყობინონ პოლიციას და გამოვიდნენ მოწმეებად ეფექტური გამოძიებისა და ტრეფიკინგის განმხორციებლების ბრალდების გადამწყვეტი პირობა. პრაქტიკა გვიჩვენებს რომ მსხვერპლი ხშირად თავს იკავებენ საჯარო ხელისუფლებისათვის შეტყობინებისაგან, ვინაიდან ისინი შესაძლო დაკავების, დაპატიმრების და გაძევების წინაშე დგანან როგორც უკანონო უცხოელები ან/და მექავები. აქედან გამომდინარე არსებობს მსხვერპლთა წახალისებისა და დახმარების ზომების საჭიროება, რათა პოლიციას მისცენ ჩვენება დამნაშავეთა წინააღმდეგ და გამოვიდნენ მოწმედ და აგრეთვე უზრუნველყოფილი იყოს სისხლის სამართლადწარმოების სისტემის მხრიდან არსებობს საპასუხო “სამართლიანი მოპყრობა”.

ადამიანთა ტრეფიკინგს მასში ჩართულ მსხვერპლისათვის გააჩნია სერიოზული, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური თანამდევი შედეგები, რომლებიც არ არის მოგვარებული სისხლის სამართლებრივი გამოძიებისა და სამართლდამრღვევთა ბრალდების მიერ. შესაფერის დახმარებას და მხარდაჭერას

იმ მსხვერპლთა მიმართ, რომელთაც სურთ ინფორმაციის გამქდავნებით ითანამშრომლონ როგორც მოწმეებმა, შეუძლია ტრეფიკინგის თანამდევი შედეგების აცილება ან გამოსწორება და შეუძლია წვლილი შეიტანონ ტრეფიკინგის თავიდან აცილებასა და შეკავება.

### III. მოქმედების საფუძვლები და მეთოდები

#### პუნქტი 6 და 7

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგი არის საერთაშორისო დანაშაული ჩადენილი ორგანიზებული ქსელის მიერ, რომელისთვისაც დამახასიათებელია მობილურობა და ცვლილებებთან (მაგალითად ცვლილების სახელმწიფოთა კანონმდებლობაში) სწრაფი შეგუება თავიანთი სტრუქტურის ხელახლი განლაგებით. ამიტომაც აღმოჩნდა რომ ტრეფიკინგში ჩართული ცალკეული ორგანიზაციები შესაძლო ზედამხედველობის თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოფენ მათ მიერ ერთი ქვენიდან მეორეში ექსპლუატირებული ქალების როტაციის სისტემას. ამიტომაც ასეთი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების ეფექტურობისათვის აუცილებელია მათი კოორდინაცია. რეკომენდაციის ტექსტი ხახს უსვამს ასეთი კოორდინაციის საჭიროებას, როგორც მოქმედი პირების, ასევე ინტერვენციის დონეებთან მიმართებით.

მე-6 პუნქტი გვთავაზობს მრავალდარგოვან მიდგომას, რომელიც მოიცავს ყველა სექტორს, რომელთა მოქმედებაც აუცილებელია ტრეფიკინგის განმახორციელებლების საქმიანობისადმი დაპირისპირებისა და მსხვერპლთა დახმარებისათვის. ეს მოიცავს იმიგრაციის, საბაჟო, პოლიციის, სოციალურ, ჯანდაცვის, სასამართლო და ადმინისტრაციულ უწყებებს ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მზადყოფნაში უნდა იყოს ყველა დონე, როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო. მე-7 პუნქტის მიზანია წაახალისოს ეროვნულ ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა, რათა შესაძლებელი იყოს განსაკუთრებით ინფორმაციის ეფექტური გაცვლა და შეთანხმებული მოქმედებების განხორციელება. ამ შედეგის მისაღწევად შესაძლებელია მრავალი მეთოდის გამოყენება, როგორიცაა ქსელური მუშაობა და საპოლიციო თანამშრომლობა.

რეკომენდაცია განსაკუთრებით წაახალისებს ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებას. ისინი განსაკუთრებით მოსახერხებელი საშუალებაა იმდენად რამდენადაც მხარეებმა თავად შეიმუშავეს დებულებები, რომლებიც შეიძლება ძალზედ ზუსტი იყოს და შეიცვალოს დროის დინების შესაბამისად. უფრო მეტიც, ტრეფიკინგის მოცემული ქსელი ჩვეულებისამებრ ქვეყანათა მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას უკავშირდება და ამ ქვეყნებს შორის შეთანხმებამ შეიძლება გააუჯობესოს როგორც დონეზე შემოღებული ზომების ეფექტურობა (მაგალითად ასეთი შეთანხმებები შეიძლება არსებობდეს მეზობელ ქვეყნებს შორის, როგორიცაა ავსტრია, სლოვაკეთი და უნგრეთი).

#### პუნქტი 8

პროექტის ავტორებს სურდათ მოეწვიათ მთავრობები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული კვლევების მხარდაჭერისათვის, რაც სასიცოცხლო ფაქტორია ამ მოვლენის თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის ეფექტური ზომების განვითარებისათვის.

განსაკუთრებით კვლევის სამი სფეროა აღნიშნული, მაგრამ ისინი მხოლოდ მითითებითი ხასიათისაა სქოლით №9

- მედიის და უპირველეს ყოვლისა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების გავლენა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგზე.

მედიის მიერ გადაცემული სქესთა შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენები ქმნიან ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის გაძლიერების ტენდენციას. პროექტის ავტორებმა გააშუქეს ფაქტი რომ მედიის ცალკეული საშუალებების მიღებობამ, რომელიც გადასცემს ქალზე მცდარ ან დამამცირებელ შეხედულებებსაც კი (მაგალითად: ქალების მიერ თავიანთი სხეულით ვაჭრობის ბანალურად გადაქცევა, რაც გულისხმობს საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების დაკარგვას) შესაძლოა პქნონდეთ გავლენა იქონიოს ადამიანთა ტრეფიკინგზე ცალკეული ქალების უფრო მგრძნობიარედ ქცევით.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გააფართოვა ტრეფიკინგის მოვლენის განზომილება. ინტერნეტი გვთავაზობს არნახულ შესაძლებლობებს და ტრეფიკინგის განმახორციელებლებს უწევთ მათი სწრაფად დაუფლება. ადამიანთა ტრეფიკინგი ახლა ხშირად ხორციელდება სამუშაოს შეთავაზების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ფიქტიური ქორწინების საფარქვეშ, პორნოგრაფიული მასალებით და პროსტიტუციის მომსახურებით ვაჭრობით. პროექტის ავტორების თანახმად ახლა ამ მოვლენის შესწავლა მისი განვითარების სიჩქარის თვალსაზრისით სქოლით №10 გადაუდებელი საკითხია.

- სექსით ვაჭრობის კლიენტები: მოთხოვნის ტენდენციები და მისი თანამდევი შედეგები სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგისათვის.

ეს ნამდვილად არის ადამიანთა ტრეფიკინგის ერთ-ერთი უპირველესი გამომწვევი ფაქტორი, იმ მოვლენის რომელიც აქმაყოფილებს ზუსტ მოთხოვნას “კლიენტის” მხრიდან, რომელთა საქციელი ახლოს მოიპყვება ეკროპული საზოგადოების განვითარებას. სწორედ ამიტომ ჩანს რომ სექსით ვაჭრობის კლიენტები ტრეფიკინგში სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს თამაშობენ (ტრეფიკინგის განმახორციელებლები უპირველეს ყოვლისა ცდილობენ დააკმაყოფილონ ეს “მოთხოვნა” სქოლით №11).

ამ საკითხზე ჩატარდა ძალიან ცოტა კლება, თუმცა შეედმა და ნორვეგიელმა მკვლევარებმა შეაგროვეს სტატისტიკა და მოახდინეს ზოგიერთი იმ მოტივის იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია, რომელიც აიძულებს მამაკაცს იყიდოს სექსით მომსახურება სქოლით №12.

არსებული კვლევების გარდა, რომელთაგან მრავალი სკანდინავიაში ჩატარდა, ფაქტია რომ სექსით ვაჭრობის (არსებითად მამრობითი სქესის) კლიენტი

ანონიმური და სავსებით უჩინარი რჩება, მაშინ როცა მისი მოთხოვნა ტრეფიკინგის განმახორციელებლებისა და მათი ქსელის ერთ-ერთი წარმართველია. პროექტის ავტორებს, განიხილეს რა ევროპის საბჭოს სპეციალისტთა ჯგუფის დასკნები, რომლებმაც გააანალიზეს ეს საკითხი სქოლით №13, სურდაც წაეხალისებინათ მთავრობები, რათა მათ წამოქმნოთ ან გაუგრძელებინათ მოთხოვნის მოდელის, როგორც სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის სტრუქტურული მიზეზის ტენდენციების კვლევა.

**-ტრეფიკინგის მოვლენის საწყისი და ტრეფიკინგის განმახორციელებლების მიერ გამოყენებული მეთოდები**

ტრეფიკინგთან ბრძოლისა და თავიდან აცილების სტრატეგიების განვითარებით დაინტერესების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ამ მოვლენის საწყისისა და განვითარების გზების გაგება. განსაკუთრებით ქალებისა და გოგონების რიგების განახლებასთან დაკავშირებით სქოლით №14 გამოიყენება მრავალი მეთოდი და აუცილებელია მათი წინასწარ სრულყოფილად ცოდნა, რათა შესაძლებელი იყოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტური მოქმედების განხორციელება, როგორიცაა საინფორმაციო კამპანიები (იხ. რეკომენდაციის დებულებები თავიდან აცილების სათაურის ქვეშ).

## **პუნქტი 9 და 10**

დასაყრდენი მონაცემთა ბაზის და სტატისტიკის ნაკლებობამ დღემდე ხელი შეუშალა ამ მოვლენის ზომების გაზომვისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტურ მოქმედებას. მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება და ისეთი ზომების მიღება, რომელიც შესაძლებელს გახდის როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო შედარებებს. უფრო მეტიც, უწყვეტი ზედამხედველობა, კონტროლი და კვლევითი საქმიანობების შეფასება აუცილებელია მათი ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის.

მთავრობები მოწვეულნი არიან გადადგან ნაბიჯები ამ მიმართულებით, თუკი შესაძლებელია ამ ამოცანებში განსაკუთრებით სპეციალიზებული კვლევითი ერთეულების ან სხვა დაწესებულებების შექმნით. არიან რა მრავალდარგოვან საწყისებზე შექმნილი, ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ მუშაობა პოლიციასთან, სამართლებრივ დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ისევე როგორც შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მაგალითად ევროპოლი, ინტერპოლი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და ა.შ.).

## **IV. თავიდან აცილება**

ერთმანეთისაგან განსხვავდება ერთის მხრივ თავიდან აცილების მოქლე და საშუალო-ვადიანი ზომები (11-22 პუნქტები) და მეორეს მხრივ გრძელვადიანი ზომები (23-25 პუნქტები).

i. შემუცნების ამაღლება და ინფორმირება

## **პუნქტი 11**

საინფორმაციო კამპანიები თავიდან აცილების მნიშვნელოვანი მოკლე ვადიანი ზომებია. სქესთა თანასწორობაზე დაფუძნებულ ამ ღონისძიებებს შესაძლოა მნიშვნელოვანი შედეგი პქონდეთ წარმოშობის სახელმწიფო საქმე ის არის ომ ამ სახელმწიფოებში საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ქალებს, მწირი ინფორმაცია გააჩნიათ იმის შესახებ თუ სინამდვილეში როგორ პირობებში იცხოვრებენ ისინი დანიშნულების ქვეყანაში. დასევლური საინფორმაციო საშუალებების მიერ გადაცემული შეხედულებები, რომელიც შესაძლოა გაზიარებული ან კონტექსტიდან ამოღებული იყოს, ხშირად ემიგრაციის მსურველებს მცდარ გზაზე აყენებს და ზოგიერთი პროფესია ფინანსური უპირატესობისა და პრესტიჟის მქონედ წარმოჩინდება, რასაც ყოველთვის ვერ შევხვდებით სინამდვილეში სქლილი №15. ტრეფიკინგის ქსელში ჩაბმულ ადამიანებს ხშირად ხელსაყრელი მდგომარეობა ექმნებათ ტრეფიკინგის ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობით, რათა შეიტყუონ თავიანთი მსხვერპლი იოლი ფულისა და ბევრად უკეთესი ცხოვრების სტილის შეპირებით.

ამ გარემოებებში რეკომენდაცია ხაზს უსვამს საინფორმაციო კამპანიის ორგანიზების საჭიროებას, რომელიც მიაღწევს ყველა შესაძლო დაკავშირებულ პირამდე, განსაკუთრებით ემიგრაციის სურვილით ცდუნებულ ქალებსა და მათ ოჯახებსა და მეგობრებამდე.

საკითხი ეხება მათ ინფორმირებას კანონიერი ემიგრაციისა და მათი შეზღუდვების შესაძლებლობების შესახებ, უკანონო ემიგრაციასთან დაკავშირებულ ექსპლუატაციის რისკზე და ადამიანთა ტრეფიკინგის უარყოფით შედეგებზე მათი ყურედღების მიპყრობით. ეს კამპანიები მიზნად უნდა ისახავდეს პოტენიციურ მსხვერპლთათვის შესაძლებლობის მიცემას გადაწყვეტილება მიიღონ ფაქტების სრული ცოდნით და შეეძლოთ უფლებების დარღვევის შემთხვევაში ითხოვონ დახმრება. დაკავშირებულ პირებს შესაძლოა მიეწოდოთ ინფორმაცია იმ ადგილების თაობაზე სადაც შეძლებენ დახმარების მიღებას დანიშნულების ქვეყანაში მოხვედრის შემთხვევაში და ამ ქვეყანაში მიღების ცენტრების მისამართები და ტელეფონის ნომრები თუკი ასეთი არსებობს.

დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს ლტოლვილი ქალებისათვის სპეციალური ინფორმაციის მიწოდების საჭიროებაზე, რომლებიც ხშირად აღმოჩნდებიან მეტად ზემგრძნობელურ სიტუაციაში: ცუდად საუბრობენ მასპინძელი ქვეყნის ენაზე თუკი საერთოდ ახერხებენ ამას, დაშორებულნი არიან თავიანთ ოჯახებს, ზოგჯერ არ გააჩნიათ რაიმე საინდეტიფიკაციო დოკუმენტი, ისინი შესაძლოა ცდუნებულ იქნენ მიიღონ ტრეფიკინგის განმახორციელებლების მიერ საზღვარგარეთ სამუშაოს შეთავაზება ან წინადადებები და ამიტომაც გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლი.

## პუნქტი 12

პროექტის ავტორებმა სასარგებლოდ მიიჩნიეს ყურადღება გაემახვილებინათ სექსტურიზმის უნდობლობის საინფორმაციო კამპანიების ორგანიზების საჭიროებაზე. გეგმიური ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს (ბროშურებისა და ვიდეო მასალების სახით, და მაგალითად ინტერნეტ გვერდებზე) ტურისტული სააგენტოების, საკონსულტოებისთვის, საბაჟოებზე იმ ფორმალობების კონტექსტში, რომელიც აუცილებელია ვიზის მოსაპოვებლად და ცალკეული მიმართულებით მფრენ თვითმფრინავებში.

### **პუნქტი 13**

მეტი ეფექტურობის თვალსაზრისით დოკუმენტი ადგენს იმ მოქმედ პირებს რომლებსაც შესაძლოა შეხება ჰქონდეთ ტრეფიკინგის შესაძლო მსხვერპლთან და ამიტომაც გადამწყვეტი როლი შეასრულონ ტრეფიკინგის თავიდან აცილებაში. წევრი სახელმწიფოების მთავრობები მოწვეულნი არიან უზრუნველყონ ეს პირები და/ან დაწესებულებები მათ სპეციფიურ როლთან შეხამებული ინფორმაციით.

ამასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებს უწევთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საშიშროებაზე საზოგადოებრივი აზრის მომზადებაში, როგორც ზოგადად ინფორმაციის მიწოდებით ან საგანმანათლებლო სისტემის კონტექსტში, ასევე ახალგაზრდებში ან ვიზის და მუშაობის ნებართვის მომთხოვნ პირებში.

დოკუმენტი განსაკუთრებით ეხება ჰქონია არულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რითაც მიმართვას აკეთებს კონფლიქტურ სიტუაციებზე. ამ კონტექსტში ჰქონია არულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც პირდაპირ შეხებაში არიან ლტოლვილებთან, შეუძლიათ მიაწოდონ მათ ინფორმაცია ტრეფიკინგთან დაკავშირებული რისკის თაობაზე (პროექტის ავტორებს მხედველობაში ჰქონდათ განსაკუთრებით კოსოვოს ლტოლვილების კრიტიკული სიტუაცია, რომლებმაც დატოვეს თავიანთი ქვეყანა 1999 წლის მარტის კრიზისის შედეგად) სქოლი №16.

### **პუნქტი 14**

ჯანდაცვასთან დაკავშირებით, წევრ სახელმწიფოთა მთავრობები მოწვეულნი არიან რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკის შესახებ ინფორმაცია. ნათელია რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი ატარებენ არასასურველი ორსულობის და სქესობრივი გზით გადამდები დავადებებით, მათ შორის მწვავე იმუნური დეფიციტით/შიდსით დასწრებოვნების საშუალოზე მაღალ რისკს.

### **პუნქტი 15**

ამ პუნქტის ტექსტი ეხმაურება ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს. ადამიანთა ტრეფიკინგის გაზრდამ და გაფართოვებამ გამოიწვია მედიის დაინტერესება, რომელაც დაიწყო ამ საკითხის განხილვა (ეს სიმართლეა როგორც პრესასთან, ასევე რადიოსა და ტელევიზიასთან მიმართებით). ხშირ შემთხვევაში მიღებულია “სენსაციონალური” მიდგომა, სექსით ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების ხაზგასმით, იმ ნადვილი მიზეზების ახსნის გარეშე, რამაც სურვილი აღუძრა ქალებს დაეტოვებინათ თავიანთი წარმოშობის ქვეყანა. ზრუნავებ რა მხოლონ შემოსავლიანობასა და თავიანთი პროდუქციის გაყიდვის საჭიროებაზე, ცალკეული საინფორმაციო საშუალებები ამ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას. ეს კავშირშია ქალზე იმ მიერძოებულ წარმოდგენასთან რასაც ზოგჯერ ქმნიან საინფორმაციო საშუალებები ხშირად ზღუდავენ რა მათ სექსის ობიექტამდე.

უფრო მეტიც, ხშირად საინფორმაციო საშუალებები გადასცემენ ემიგრაციის მსურველ პირებს ინფორმაციას, რომელიც მათ უქმნის შთაბეჭდილებას რომ

საზღვარგარეთ შეძლებენ კარგად ანაზრაურებადი სამუშაოს ადვილად პოვნას სქოლით №17.

ცდილობს რა შეამსუბუქოს ეს პრობლემები, ეს პუნქტი წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს წაახალისებს ორგანიზება გაუწიონ მოქმედებებს, რომლებიც პრესის თავისუფლების პატივისცემასთან ერთად სქოლით №18 უფრო გააცნობიერებს მედიის მუშაკებს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებსა და იმ პრობლემებში რომელიც ამ მოვლენას მოაქვს მსხვერპლთათვის და მთელი ევროპული საზოგადოებისათვის.

## ii. განათლება

ტრეფიკინგის თავიდან აცილების ზომები ვერასოდეს იქნება სრულად ეფექტური ინფორმაციის გავრცელებისა და სწორედ სასკოლო სწავლების ადრეულ ეტაპზე მისი საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის გარეშე. ტრეფიკინგის მსხვერპლნი თანდათან უფრო და უფრო ახალგაზრდები ხდებიან, ხშირად მცირებულოვანებიც კი, და ამიტომ შესაფერისი ინფორმაციის გავრცელება თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა.

## პუნქტი 16, 17 და 18

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისადმი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (91)11 რომელიც ეხება ბავშვებისა და მოზარდების სექსუალურ ექსპლუატაციას, პორნოგრაფიასა და პროსტიტუციას და ტრეფიკინგს შეიცავს ზომებს, რომელიც დაკავშირებულია ტრეფიკინგის საშიშროების შესახებ ბავშვებისა და მოზარდების ინფორმირებასა და განათლებასთან.

ამ რეკომენდაციის ტექსტი განამტკიცებს ამ მიღგომას, იწვევს რა წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს ხელი შეუწყოს სასკოლო პროგრამებში სქესთა შორის თანასწორობასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. მოსწავლეების მიერ ამ კონცეფციების უკეთესი შეთვისება ნაკლებად შესაძლებელს გახდის რომ ისინი მოგვიანებით იქცნენ ისეთი მოვლენის მსხვერპლად, როგორიცაა ტრეფიკინგი, რომელიც ეფუძნება ქალსა და მამაკაცს, ტრეფიკინგის განმახორციელებელსა და მსხვერპლს შორის ძალთა არათანაბარ დაბალანსებას და წარმოადგენს ადამიანის მრავალი უფლების უხეშ დარღვევას.

ბავშვებისა და მოზარდების მიერ გაწეული ტრეფიკინგის და სექსუალური ექსპლუატაციის რისკის შესახებ ინფორმაცია უნდა გავრცელდეს შეძლებისდაგვარად ფართოდ და განსაკუთრებით უნდა შეეცადონ რათა მან მიაღწიოს გარიყულ ადამიანებამდე (ბავშვებამდე, ზრდასრულებსა და მოზარდებამდე, რომლებიც განათლების სისტემის მიღმა არიან, მიღწევა უნდა შეიძლებოდეს მაგალითად ახალგაზრდების მიმღებ ცენტრებში).

საერთაშორისო დოკუმენტებში (ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია (1996წ.) და ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (1996წ.)) გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად ამ სფეროში განხილულმა ზომებმა პატივი უნდა სცენ ბავშვის უფლებებს ისევე როგორც მშობლების ან სამართლებრივად პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და ვალდებულებებს.

### *iii. ტრეინინგი*

#### **პუნქტი 19**

აქ მთავარი მიზანია ყველა დაკავშირებული ჯგუფისთვის ცნობილი გახდეს ტრეფიკინგის არსებობისა და ის თანამდევი შედეგები, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს მათი საქმიანობის სფეროში. აუცილებელია ამ მოვლენის ყველა ასპექტის გაგება და ტრეფიკინგის შედეგების ამოცნობის შესაძლებლობა. სახელმწიფოებს მოეთხოვებათ “სპეციალური ტრეინინგის” ორგანიზება, ე.ი. ტრეინინგისა რომელიც სპეციალურად დაკავშირებული ტრეფიკინგის საკითხებთან. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ რეკომენდაციაში გამოყენებული ტერმინები ზოგადი ხასიათისაა რათა თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდეს შესაძლებლობა ორგანიზება გაუწიოს ტრეინინგს თავისი საკუთარი საჭიროებისა და სტრუქტურების შესაბამისად.

#### **პუნქტი 20, 21 და 22**

პროექტის ავტორებს სურდათ ხაზი გაესვათ პოლიციის მუშაქთათვის, იმიგრაციის სამსახურებისა და სასაზღვრო პოლიციისათვის ტრეინინგის მნიშვნელობაზე. ამ კატეგორიის მუშაქები აშკარად თამაშობენ არსებით როლს თავიდან აცილებაში, რადგანაც ისინი პირველი მოდიან შეხებაში მსხვერპლთან. მათ უნდა ჰქონდეთ ტრეფიკინგის მსხვერპლის შეცნობისა და საჭირო ზომების მიღების შესაძლებლობა, სადაც შესაფერისია სპეციალიზებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. პროექტის ზოგიერთმა ავტორმა გაითვალისწინა პოლიციის შიგნით ტრეფიკინგის საკითხებთან დაკავშირებული სპეციალიზებული ერთეულების შექმნის და უწყვეტი ტრეინინგის უზრუნველყოფის შესაძლებლობა (ტრეფიკინგი არის რა მუდმივად განითარებადი მოვლენა, მნიშვნელოვანია ქსელში ცვლილებებზე დაკვირვება და ცვლილებათა მიმართულებების იდენტიფიკაცია).

#### **iv. გრძელვადიანი მოქმედებები**

#### **პუნქტი 23 და 24**

მთელ რიგ ფაქტორებს შეაქვთ წვლილი ტრეფიკინგის განვითარებაში, რომლის ძირითადი გამომწვევი მიზეზები ყოველგვარი ყოფმანის გარეშე შეიძლება აღწერილ იქნას როგორც “სტრუქტურული”. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემეგო:

- ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ქვეყნებს შორის უთანასწორობა, რომელიც აიძულებს ადამიანებს დატოვონ თავიანთი წარმოშობის ქვეყანა და სადმე სხვაგან ეძებონ უკეთ ანაზღაურებადი სამსახური;
- მიგრაციის ნაკადის თანდათანობითი ცვლა: წარსულში ქალები ამჟღავნებდნენ უფრო მდიდარ ქვეყანაში ემიგრირებულ ოჯახის უფროსთან შეერთებისათვის ბავშვებთან ერთად წასვლის ტენდენციას, მაგრამ ამჯერად არსებობს ცვლილების ნიშნები. ბევრი ქალი თვითონ გახდა ოჯახის უფროსი და ესწრაფვის ემიგრაციას რათა იშოვოს სამუშაო და

შესაძლებლობა პქონდეს ფული გაუგზავნოს თავის შვილებსა და ოჯახს. უფრო ზოგადად, ქალები უკვე უყოფმანოდ ეძებენ სამსახურს საზღვარგარეთ;

- **ქალტა ხტატუსი:** ტრეფიკინგის მეორე ფაქტორი არის ქალის სტატუსი როგორც წარმოშობის ისე დანიშნულების ქვეყანაში. წარმოშობის ქვეყნებში ქალებს ყოველთვის არა აქვთ ისეთივე პროფესიული ან ეკონომიკური შესაძლებლობები, როგორიც მამაკაცებს და მათ უფრო მძიმე ვნებას აუქნებს სიდარიბე, რამაც შეიძლება უბიძგოს მათ ემიგრაციისკენ სწრაფვა. დანიშნულების ქვეყნებში როლს ასრულებს მამრობითი სქესის მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილის დამოკიდებულება: ცრურწმენები სქესობრივი დისკრიმინაციის თაობაზე, ხშირად რასისტულ შეხედულებებთან ერთად ზოგიერთ ქვეყანაში რეალურად ქმნის სხვა ქვეყნებიდან ქალების მოთხოვნას, რადგანც ისინი მიჩნეულნი არიან „მორჩილებად“, „მიამიტებად“ ან „ეგზოტიკურებად“. (იხ. სქოლით №11).

- **კრიზისული და/ან კონფლიქტური სიტუაციები:** ნებისმიერი ამგვარი სიტუაცია ქმნის უკანონობის (ტრადიციული სამართლებრივი სისტემის მსხვრევა ან არარეგისტრირებული მდგომარეობას) რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელია ყველა სახის ტრეფიკინგის, მათ შორის ადამიანთა ტრეფიკინგის, განვითარებისათვის სქოლით №19.

მთავრობებს მოეთხოვებათ მხედველობაში მიიღონ ადამიანთა ტრეფიკინგი და მისი თანამდევი შედეგები სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის და განვითარებისათვის დახმარების მცდელობებისას სქოლით №20.

## პუნქტი 25

წარმოშობის ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება მიჩნეულია ყველაზე ეფექტურ საშუალებად ტრეფიკინგის თავიდან აცილებისა და იმათი გადარწმუნებისათვის, რომელთაც იმედი აქვთ რომ ტრეფიკინგის განმახორციელებლების შემოთავაზებების მიღების შემთხვევაში გაიუმჯობესებენ თავიანთ ხელის. არსებულ მდგომარეობაში, სასურველი იქნებოდა ემიგრაციის მსურველი პირები სრულად ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი კანონიერი ემიგრაციის შესაძლებლობების შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ უფრო ადვილად ამოიცნონ ტრეფიკინგის განმახორციელებლების შემოთავაზება და თუ შესაძლებელია, თავიდან აიცილონ მისი მიღება.

## V. მსხვერპლთა დახმარება და დაცვა

დახმარებისა და დაცვის სათაურის ქვეშ რეკომენდაცია გვაწვდის მსხვერპლთა და მათი უფლებების სასარგებლო ოთხი სახის მოქმედებას.

### i. მსხვერპლთა მხარდაჭერა

## პუნქტი 26

ტრეფიკინგის მსხვერპლთა მხარდაჭერის უზრუნველყოფის საკითხი სასარგებლო საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციისათვის. დოკუმენტი წაახალისებს მიმღები

ცენტრების ან სხვა საშუალებების შექმნას ან განვითარებას, სადაც მსხვერპლთ შეეძლებათ ისარგებლონ მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის აუცილებელი სხვადასხვაგვარი მომსახურებით.

ეს რეინტეგრაცია შეიძლება გათვალისწინებულ იქნას წარმოშობის ან მასპინძელ ქვეყანაში, რამდენადაც აღნიშნული სოციალური ზომები გამოიყენება როგორც წარმოშობის სახელმწიფოში მსხვერპლთა, ასევე მათი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის უფლების მიმართაც (იხ. iii. და iv. ქვემოთ).

სპეციალიზებული მიმღები ცენტრების გარდა ყველა არსებულ ადმინისტრაციულ, სამედიცინო-სოციალურ და სამართლებრივ ინფრასტრუქტურას, ასოციაციებთან პარტნიორობის ჩათვლით, უნდა ქონდეს ამ დახმარებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც ამ სამსახურებს შეუძლიათ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა პრობლემების სპეციფიური განზომილებების ინტეგრაცია.

მხარდაჭერის ზომები საზოგადოდ (მსხვერპლთა ინფორმირება თავიანთი უფლებების შესახებ, ფსიქო-სამედიცინო-სოციალური და ადმინისტრაციული დახმარება) არის მრავალდარგოვანი მიღომის საჭიროების კონკრეტული გამოხატულება, რაც წარმოჩენილია C ნაწილში, მოქმედებებისა და მეთოდების საფუძველი.

## პუნქტი 27

დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლისათვის მშობლიურ ენაზე დახმარების გაწევის მნიშვნელობაზე. ეს დებულება არსებითია კანონის ხელმისაწვდომობის უფასტურობის უზრუნველყოფისათვის, რაც თავის მხრივ მსხვერპლის მიერ სასამართლოს მიმართვის აუცილებელი წინაპირობაა. ეს განსხვავდება სამართალწარმოების დროს თარჯიმანის დახმარების უფლებისაგან.

### ii. სამართალწარმოება

## პუნქტი 28

სადაც შესაძლებელია სახელმწიფოები მოწვეულნი არიან უზრუნველყონ ტრეფიკინგის მსხვერპლი, განსაკუთრებით ბავშვები, და მოწმეები მიღებისა და დაკითხვის სპეციალური საშუალებებით (აუდიო და ვიდეო ჩაწერა), რათა შეძლებისდაგვარად აცილებულ იქნეს მოსმენისა და ცალკეული დაპირისპირების განმეორება, და ამიტომაც შემსუბუქდეს სამართალწარმოების მარტამვირებელი შედეგები. უკანასკნელ წლებში მრავალმა სახელმწიფომ განავითარა ამ ტექნიკური რესურსების გამოყენება სამართლებრივ კონტექსტში, საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულებების ჩაწერისა და მსხვერპლთა დაკითხვისას გამოსაყენებელი პროცედურული წესების მიღებით. ეს ხდება განსაკუთრებით სექსუალური თავდასხმის მსხვერპლთა შემთხვევაში. თუმცა, ერთის მხრივ ეს ჯერ კიდევ არ არის ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოში გავრცელებული შემთხვევა, მეორეს მხრივ ტრეფიკინგის მსხვერპლი ჯერ კიდევ შორს არიან ამ დაცვითი ზომებით სარგებლისაგან იმ სახელმწიფოებშიც კი, სადაც ამ მეთოდების კანონიერება აღიარებულია ეროვნული სამართლებრივი სისტემის მიერ.

## პუნქტი 29, 30 და 32

როგორც ზოგად პრინციპებშია ჩამოყალიბებული, ტრეფიკინგი შეიძლება მიჩნეული იქნას ორგანიზებული დანაშაულის ფორმად და ამიტომაც ის საჭიროებს შესატყვის მოპერობასა და მოქმედებას. 29-ე და 32-ე პუნქტები აკეთებენ შესაფერის დასაქნებს, რომლებიც მოუწოდებენ სახელმწიფოებს გადადგან ნაბიჯები, განსაკუთრებით დანაშაულებრივი ქსელის შემთხვევაში, მსხვერპლთა, მოწმეთა და მათი ოჯახების დასაცავად რათა თავიდან იქნას აცილებული დაშინებისა და რეპრესალიების აქტები. საკითხი ეხება მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის პროგრამების სასამართლო ორგანოებისათვის ხელმისაწვდომობას, რაც გულისხმობს ამ ადამიანების უსაფრთხოებისადმი რეალური საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური გზების არსებობას როგორც მასპინძელ, ასევე წარმოშობის ქვეყანაში.

როცა საკითხი მიდის დაკავშირებული პირების დაცვამდე არა იმ სახელმწიფოში სადაც პროცესი მიმდინარეობს, ასევე აუცილებელია კოორდინირებისა და თანამშრომლობის ზომები რომელიც გათვალისწინებულია G ნაწილში. რეკომენდაცია ასევე წახალისებს სახელმწიფოებს თუ აუცილებელია გაავრცელონ დაცვის ეს პროგრამები იმ ასოციაციებისა და ორგანიზაციების წევრებზე რომლებიც დახმარებას უწევენ მსხვერპლთ სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების დროს, განსაკუთრებით ვინც შეიძლება დადგეს დანაშაულებრივი ქსელის წინაშე.

32-ე პუნქტი პროექტის ავტორებმა ამ თვალსაზრისით ყურადღება გაამახვილეს მსხვერპლთა დაცვის ორგანიზაციების როლზე. დახმარების უზრუნველყოფის ტრადიციულ როლთან ერთად ზოგჯერ ეს ორგანიზაციები, ეროვნულ სამართლებრივ პრინციპებსა და ტრადიციებთან მიმართებით შესახლოა უფლებამოსილნი იყვნენ დაიწყონ სამართალწარმოება (როგორც ეს ევროპის საბჭოს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს შემთხვევაში ხდება).

## პუნქტი 31

ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლნი ყოფილობენ დაიწყონ თუ არა სამართალწარმოება დანიშნულების ქვეყანაში ტრეფიკინგის განმახორციელებლების მხრიდან წარმოშობის ქვეყანაში დარჩენილ მათი ოჯახის წევრებზე რეპრესალიების შიშის გამო. ამიტომაც, სამართალწარმოების გასაადგილებლად მნიშვნელოვანია ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მსხვერპლთა ოჯახების დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

ეს საჭიროებს მჟიდრო თანამშრომლობას მსხვერპლის წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის, რაც შეიძლება დაიწყოს, მაგალითად დაკავშირებულ ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრაალმხრივი შეთანხმებების ხელმოწერით. პროექტის ავტორებმა იცოდნენ ამ მექანიზმის დანერგვის სირთულეები, მაგრამ მიუხედავად ამისა სურდათ ხაზი გაესვათ მისი მნიშვნელობისათვის იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის გარანტია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მსხვერპლს დაიწყონ სამართალწარმოება. მთავრობები მოწვეულნი არიან მხედველობაში მიიღონ ეს ფაქტორი და სადაც შესაძლებელია გაატარონ აუცილებელი ზომები.

## **პუნქტი 33**

აქ ჩნდება კომპენსაციის ასპექტი და გამიზნულია უზრუნველყოს რომ მსხვერპლთ შეეძლოთ მათ მიერ განცდილი უსამართლობის გამო ფულადი კომპენსაციის მიღება. იმ შემთხვევაში როცა ტრეფიკინგის გამნახორციელებელთა საქმის განმხილველ სასამართლოს არა აქვს უფლებამოსილება აგრეთვე მიიღოს გადაწყვეტილება მსხვერპლის მიმართ ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს მსხვერპლთათვის შესაძლებლობა თავიანთი სარჩელი შეიტანონ სამოქალაქო საქმეების განმხილველ სასამართლოში, რომელიც კომპეტენტურია ამ საკითხის გადაწყვეტასა და საკომპენსაციო ხასიათის ზიანის ანაზღაურების მინიჭებაში.

## **პუნქტი 34 და 35**

ეს პუნქტები განავრცობენ ზემოთქმულ გარანტიებს, საქმე აქვთ რა პროცესის მსვლელობისას მსხვერპლთა დროებით სტატუსთან. არიან რა უმეტეს შემთხვევებში დანიშნულების სახელმწიფოში უკანონო მცხოვრები, ამგვარადვე ეპურობიან ტრეფიკინგის მსხვერპლთ და სარჩელის შეტანამდე გაძევების საშიშროების წინაშე დგანან. ამის თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაცია წაახალისებს დანიშნულების სახელმწიფოებს აუცილებლობის შემთხვევაში და ძალაში მყოფი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მიანიჭონ მსხვერპლთ დროებითი ცხოვრების ნებართვა, რათა შესაძლებლობა მიეცეთ ჩვენება მისცეს დამნაშავის წინააღმდეგ. ეს ჩვენებები აუცილებელია ტრეფიკინგის განმახორციელებელთა ბრალდებისათვის, რადგანაც ისინი ხშირად წარმოადგენენ ერთადერთ ხელშესახებ მტკიცებულებას მათ წინააღმდეგ.

დოკუმენტი გვირჩევს, რომ მათი დროებითი ცხოვრების განმავლობაში, მსხვერპლთ ხელი მიუწვდებოდეთ აუცილებელ სამედიცინო და სოციალურ დახმარებაზე. არსებულ უკიდურესად არასტაბილურ სიტუაციაციაში, რომელშიც მრავალი მსხვერპლი აღმოჩნდება ხოლმე, დანიშნულების ქვეყნებს აგრეთვე წაახალისებენ აუცილებლობის შემთხვევაში, განიხილონ ჰუმანიტარულ საწყისებზე მსხვერპლთათვის დროებით მცხოვრების მეტად დამცავი სტატუსით უზრუნველყოფის საკითხი. ეს შესაძლოა აუცილებელი იყოს მაგალითად იმ შემთხვევებში როცა მსხვერპლს დაემუქრა დამნაშავე (სასამართლო პროცესამდე, მისი მიმდინარეობისას ან შემდეგ) და როცა წარმოშობის ქვეყანაში მათი დაბრუნების შემთხვევაში საფრთხეშია მისი ან მისი ოჯახის სიცოცხლე.

### **iii. წარმოშობის ქვეყნებში ხოციალური ზომები ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის**

## **პუნქტი 36 და 37**

ტრეფიკინგის ზოგიერთი მსხვერპლი ამჯობინებს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებას, და სხვები იძილებული არიან გააკეთონ ეს (თუკი ისინი ვერ მიიღებენ დანიშნულების ქვეყანაში ცხოვრების ნებართვას).

მიუხედავად შემთხვევისა, მსხვერპლთ უფლება უნდა ჰქონდეთ მოითხოვონ სხვადასხვა სახის დახმარება (სოციალური დახმარება, დასაქმებით რეინტეგრაცია და სხვა) რომელიც შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნას მიმღები საშუალებების

და უპირველეს ყოვლისა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ ამ სფეროში.

#### iv. დაბრუნებისა და რეაბილიტაციის უფლება

##### **პუნქტი 38**

პროექტის ავტორების მიერ დასაწყისიდანვე მიღებული იმ მიღომის შენარჩუნებით, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებდა მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებულ ასპექტებს, დოკუმენტი მოუწოდებს მთავრობებს შესაძლებელი გახადოს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. განცდილი ტრამვის ხასიათის მხედველობაში მიღებით, ასეთ გადაწყვეტილებას უნდა ახლდეს მრავალი ზომა (დეტალურად განხილული შემდეგ პუნქტებში) რომელთა განხორციელება საჭიროებს წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, როგორც უკვე ხაზგასმულ იქნა წინა ნაწილში.

##### **პუნქტი 39, 40 და 41**

მსხვერპლთა დაბრუნება წარმოშობის ქვეყანაში და მათი რეინტეგრაცია საჭიროებს მრავალი დაბრკოლების გადალახვას.

წმინდა ფინანსური თვალსაზრისით მსხვერპლთ ხშირად უწევდათ ვალის აღება, რათა დიდი რაოდენობის ფული შეეტანათ ავანსის სახით აღმინისტრაციული ფორმალობებისათვის, რომელიც მათთვის “დამქირავებლებს” უნდა შეესრულებინათ. ეს ვალები ხშირად წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოშობის ქვეყანაში რეინტეგრაციისათვის. მეორე პრაქტიკული პრობლემაა მათი დაბრუნებისათვის მგზავრობის ხარჯები.

მატერიალურ ასპექტებს გარდა სექსუალურ ექსპლუატაციას შეუძლია ავნოს ტრეფიკინგის მსხვერპლთ როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად მათი დარჩენილი სიცოცხლის მანილზე. მხედველობაში უნდა იქნას აგრეთვე მიღებული რომ მათი დაბრუნების შემდეგ მსხვერპლი მათი ოჯახებისა და საზოგადოებისაგან უარყოფის რისკს სწევენ, ასევე ცხოვრებისთვის საქმარისი სამსახურის პოვნის შეუძლებლობის, საზოგადოებისაგან მოკვეთილად გახდომის, შეწუხების ობიექტად ყოფნის, ტრეფიკინგის გამნახორციელებლებისაგან რეპრესალიებისა და დევნის და ა.შ რისკს.

ამ სიძნელეთა ნათელყოფის მიზნით პროექტის ავტორებმა შეიმუშავეს მთელი რიგი დონისძიებები, რომლებიც ჩმოთვლილია 39-ე, მე-40 და 41-ე პუნქტებში. ეს არის მინიმალური ზომები. აუცოლებლობის შემთხვევაში მთავრობებს შეუძლიათ დაამატონ. მაგალითად:

- ფინანსურ დახმარებასთან ერთად დაფაროს დაბრუნების ხარჯები და რეინტეგრაციაში დახმარებისათვის საჭირო თანხები, მსხვერპლი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თავიანთი ვალების დაფარვის საშუალებებით, კომპენსაციის სქემის ფორმით ან ვალის დაფარვის სხვა შესაფერისი სისტემით (შესაძლოა დაეფუძნოს ტრეფიკინგით მიღებული შემოსავლის კონფისკაციას, როგორც გადმოცემულია 44-ე პუნქტში).

- მათი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას უზრუნველყოფილი სოციალური დახმარება შესაძლოა მოიცავდეს საკონსულტაციო სამსახურებისა და სპეციალური სამედიცინო მზრუნველობის მიმართვას (სოციალური მუშაკები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათი დაბრუნების შემდეგ მსხვერპლთა საკითხების განხილვაზე უნდა იცნობდნენ ტრეფიკინგის საკითხებს);

- დასაქმებით რეინტეგრაციის ზომები წარმოშობის ქვეყანაში მათი დაბრუნებისას შეიძლება მოიცავდეს, განსაკუთრებით, ტრეფიკინგ კურსებსა და დასაქმების პოვნაში დახმარებას;

## VI. სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა და სამართლებრივი თანამშრომლობა

თუმცა მსხვერპლის დაცვა აშკარად რეკომენდაციის ინტერესთა მთავარი სფერო, რაც სისხლის თავიდან აცილებისა და დახმარების ზომებისადმი მინიჭებულ უპირატესობას, შეუძლებელია ტრეფიკინგთან ეფექტური ბრძოლა შესაბამისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამართლებრივი თანამშრომლობის გარეშე.

როგორც ვნახეთ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ამ საკითხთან დაკავშირებულ კანონმდებლობებში არსებობს სერიოზული განსხვავებები და უფრო მეტიც ტრეფიკინგის მოვლენა სცილდება ევროპის კონტინენტის ფარგლებს.

### პუნქტი 42

ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს აქვთ კანონმდებლობები, რომელთა თანახმადაც ამ რეკომენდაციის მიერ განსაზღვრული და დაგმობილი ყველა მოქმედება არ არის სისხლის სამართლებრივი დანაშაული. რეკომენდაცია ამიტომაც იწვევს დაკავშირებულ ქვეყნებს შემოიღონ ან განამტკიცონ თავიანთი კანონმდებლობა და აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინონ ცალკეული ქმედებების კრიმინალიზაცია.

ეს არ არის აუცილებლად “სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის” დანაშაულის შექმნით ქმედებების კრიმინალიზაციის სპეციალური მოდელის მიღების საკითხი, არამედ იმის უზრუნველყოფა რომ სისხლის სამართლის საქმის ადგრა შესაძლებელია ყველა დაკავშირებული მოქმედებისა თუ დანაშაულის წინააღმდეგ. ეს შესაძლოა მიღწეულ იქნას ეროვნულ კანონმდებლობაში უკვე არსებული დანაშაულების საშუალებით, აუცილებლობის შემთხვევაში სენებული დანაშაულების ცალკეული პირობების აღმოფხვრით, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ სამართლებრივ დაბრკოლებას კრიმინალიზაციისადმი, ან პირიქით, არსებულ დანაშაულთა განსაზღვრებებისადმი დაკავშირებული ქმედებების აღწერილობის დამატებით, მათი გამოყენების პირობების ნათელყოფის მიზნით. ასევე აუცილებელია სპეციფიურ დანაშაულთა შემოღება, ამ შესაძლებლობას, არის რა პროექტის ავტორების მიერ ნათლად განზრახული, თან ახლავთ გამოთქმა “თუკი აუცილებელია”.

### პუნქტი 43 და 47

განსახილველ ქმედებათა კრიმინალიზაციის გარდა ეს პუნქტები მიმართულია სისხლის სამართლის სანქციებზე და გააჩნია ორი მიზნი.

პირველი, სისხლის სამართლის სანქციების შემოტანა და მათი გაზრდა, დანაშაულის სერიოზულობის პროპორციულად გახდომის მიზნით. ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ტრეფიკინგის მოვლენათან დაკავშირებული დანაშაულებრივი აქტები, როგორც ხელახლა ოფიციალურად დადასტურებული იქნა რეომენდაციაში, მიჩნეულ უნდა იქნებ ადმიანის უფლბათა უხეშ დრღვევად და ადამიანის პატივისა და ლირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად და ასეთად უნდა იქნეს განსახილული საკანონმდებლო არსენალში.

მეორე, იმისი უზრუნველყოფის საკითხი, რომ დაკისრებული მსჯავრი იძლეოდეს ეფექტური საერთასორისო სამართლებრივი თანამშრომლობის და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექსტრდიციის საშუალებას. ტრეფიკინგის ტრანსნაციონალური განზომილების გამო, ერთ სახელმწიფოში საქმის განმხილველ სასმართლოებს უნდა შეეძლოთ ინფორმაციის საერთაშორისო მოთხოვნა, რათა შესაძლებლობა ქონდეთ განაგრძონ გამომიება ერთ ან მეტ სახელმწიფოში, მოუსმინონ მოწმეებს, ჩაატარონ ჩეკა, ამოდება და ა.შ. ასევე, როდესაც ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებული პირები იმყოფებიან სხვა, არა ბრალმდებული სახელმწიფოს იურისდიქციაში, მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელმა გამოყენებადი პრინციპებისა და დებულებების პრივისცემით, მიაღწიოს მათ ექსტრადიციას. ვიდრე შეასრულებდნენ დახმარებისა თუ ექსტრადიციის შესახებ ამგვარ თხოვნას, ზოგიერთი სახელმწიფო მოითხოვს, რომ მსჯავრი, რომლის წინაშეც დგას ეჭვმიტანილი ან რომელიც გამოტანილ იქნა მსჯავრდებულის მიმართ, უნდა აღემატებოდეს თავიანთი შიდა სამართლით დადგენილ ზრგარს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ეს ზღვარი მხედველობაში იქნეს მიღებული სულ მცირე ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულისათვის მსჯავრის დადგენისას.

ტრეფიკინგის განმახორციელებლების ექსტრადიციის საკითხზე, 43-ე პუნქტი განსაზღვრულ უნდა იქნეს 47-ე პუნქტან პაგშირში, რომელიც წაახალისებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ ზომები, რომლებიც იძლევიან ტრეფიკინგის განმახორციელებლების ექსტრადიციის საშუალებას, მოქმედი საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, უპირატესად იმ სახელმწიფოში, სადაც შესაძლებელია დანაშაულის მტკიცებულებათა მოპოვება. იურისდიქციის მოქმედი კრიტერიუმები შეიძლება მიუთითებდნენ რამდენიმე სახელმწიფოზე, სადაც შესაძლებელია აღნიშნულ მტკიცებულებათა მოპოვება: სახელმწიფო სადაც მოხდა მსხვერპლთა რიგების განახლება, ტრანზიტული სახელმწიფოები, სახელმწიფოები, სადაც ხდება მათი ექსპლუატირება, სახელმწიფოები, სადაც სამართლდამრღვევნი მუდმივად ცხოვრობენ ან სადაც დაკავშირებული კომპანიები არიან რეგისტრირებული და ა.შ. აქედან გამომდინარე, კრიტერიუმი უნდა იყოს ინფორმაციის პოვნის ალბათობა.

#### პუნქტი 44

ტრეფიკინგის საშუალებათა და მოგების დაკავებისა და კონფისკციის უფლების მიმნიჭებელი დებულებების მიღების რჩევასთან ერთად, პროექტის ავტორებმა იზრუნეს კეთილსინდისიერი მესამე მხარის უფლებათა შენარჩუნების საჭიროების მოხმობაზე. ტრეფიკინგის ქსელის გამოაშეარავების, ისევე როგორც ზოგდად

ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევაში, როგორიცაა სადაო თანხებისა და საქონლის წარმოშობის დადგენა. საკეთო კანონიერ საქმიანობაში ჩაბმული კომპანიები და კერძო პირები გაუცნობიერებლად შეიძლება აღმოჩნდნენ გამოყენებულნი ქსელის ლაბირინთში, სანართალდამრღვევთა მიერ თავიანთი კვალის დაფარვის მცდელობების ნაწილი. ამ გზით შეიძლება დაირღვეს კეთილსინდისიერი მესამე მხარის უფლებები.

გარდა აუცილებელი გონივრულობისა აღმინისტრაციული და სამართლებრივი დაწესებულებების მხრიდან, რომლებმაც უნდა განახორციელონ განსახილველი საქონლის კონფისკაცია, აუცილებელია ისეთი სამართლებრივი დებულებების არსებობა, რომლებიც საშუალებას მისცემენ კეთილსინდისიერ მესამე მხარეს, რომლის საქონელიც ჩამორთმეულ ან დაკავებულ იქნა, დაიბრუნოს ის ან უკიდურეს შემთხვევაში მიიღოს კომპენსაცია მათი დაკარგვისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში გადმოცემული საკუთრებით სარგებლობის უფლების თანახმად.

### **პუნქტი 45**

მიუხედავად იმისა იძლევა თუ არა ეროვნული კანონმდებლობა ისეთი დაწესებულებების არსებობის უფლებას, სადაც ზოგადად ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლუატაცია ხდება, ასეტი დაწესებულებები არსებობენ და უნდა იქნეს დაგენილი პოლიციის მიერ. აქედან გამომდინარე აუცილებელია ამგვარ დაწესებულებებზე საპოლიციო გამოძიებისა და ზედამხედველობის, და საჭიროების შემთხვევაში მათი დახურვის ორგანიზების გაადვილება.

### **პუნქტი 46**

როგორც ტრეფიკინგის მიღებულ განმარტებაშია მითითებული, ტრეფიკინგის განმახორციელებლები ზოგჯერ მოქმედებენ იურიდიული პირების მეშვეობით. დოკუმენტი წაახალისებს სახელმწიფოს სასჯელთა სპეციალურ სახეებთან ერთად გაითვალისწინონ ამ ორგანიზაციების პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები. ეს შეიძლება თვალნათლივ იურლდლულ პირთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი იყოს, მაგრამ იმ სახელმწიფოთა შემთხვევაში, რომელთა სამართლებრივი სისტემა მოიცავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ამგვარი დაწესებულებებისათვის, შემუშავებლ უნდა იქნას დებულება ტრეფიკინგთან დაკავშირებულ დანაშაულთა მიმართ მათი გამოყენებისათვის.

### **პუნქტი 48**

სახელმწიფნი მოწვეულნი არიან მიიღონ ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის მარეგულირებელი ნორმები, რათა მიეცეთ ნებადართლი იყოს იმ პირთა ბრალდება და მსჯავრდება, რომლებმაც ჩაიდინეს ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაული, მიუხედავად იმისა თუ რომელ სახელმწიფოს იქნა იგი ჩადენილი, მათ შორის როცა ქმედებანი, რომლებიც წარმოადგენენ დანაშაულს ჩადენილ იქნა რამდენიმე სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქცია განსაკუთრებით აუცილებელი სამართლებრივი ხელსაწყოა დანაშაულთა ისეთი ფორმების წინააღმდეგ, რომლებიც ვრელდება საზღვრებს

მიღმა და იყენებს მათ, როგორიცაა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი.

ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის მარეგულირებელი ნორმები აადვილებენ დანაშაულის ჩამდენთა ბრალდებას. ისინი რეკომენდირებულია კომერციული მიზნებისათვის ბაგშვთა სექსუალური ექსპლუატაციის საწინააღმდეგო ქმედებათა შესახებ სტოკოლმის კონგრესზე სახელმწიფოთა მიერ მიღებულ სამოქმედო გეგმაში, ისინი ასევე წარმოდგენილნი არიან კვროპის კავშირის მიერ 1997 წელს მიღებულ ერთობლივ მოქმედებებში. მნიშვნელოვანია, რომ კვროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ ამგვარი წესების ჩართვა სისხლის სამართლებრივ სანქციათა თავიანთ არსენალში, უნდა გაითვალისწინოს ის და გაავრცელოს ტრეფიკინგთან დაკავშირებულ უკელა დანაშაულებრივ ქმედებაზე.

### **პუნქტი 49**

ტრეფიკინგთან ბრძოლის ბოლო იარაღია გამოძიებისა და ხსენებულ დანაშაულთა ჩამდენი პირების ბრალდების დასახმარებლად ისეთი სისტემისა შექმნა და უწყვეტი განახლება, როგორიცაა მონაცემთა კომპიუტერული ბაზა და კარტოგეგა. ორგანიზებული დანაშაულის სხვა ფორმებისა და ზოგადად სქესობრივ დანაშაულთა მსგავსად, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მოქმედება ის სფეროა, რომელშიც ამგვარი მეთოდების გამოყენება განსაკუთრებით აუცილებელია. თუმცა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის, ისევე როგორც შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების (როგორიცაა პერსონალურ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით ინდივიდთა დაცვის შესახებ კვროპის საბჭოს კონვენცია, 1981წელი) შესრულება.

### **VII. კოორდინაციისა და თანამშრომლობის ღონისძიებები.**

როგორც პროექტის ავტორების მიერ მთელ დოკუმენტში იქნა ხაზგასმული, ტრეფიკინგი მრავალფორმიანი სექტორთაშორისი მოვლენაა, რომელშიც ჩართული საზოგადოების მრავალი განშტოება. მოვლენის ბუნების მხედველობაში მიღებით, იმისათვის რომ ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მოქმედება იყოს ეფექტური, ის უნდა იყოს კოორდინირებული როგორც კრონულ, ისე საკონფიდენციალურობის დონეზე.

#### *i. ეროვნული დონეზე*

#### **პუნქტი 50, 51 და 52**

კონკრეტულად დოკუმენტი ურჩევს ეროვნული მექანიზმის შექმნას, რომელიც იმოქმედებს როგორც:

- ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის განმსაზღვრელი ცენტრი;
- სხვა სახელმწიფოებთან და ტრეფიკინგთან ბრძოლაში ჩართულ სხვა ორგანიზაციებთან კავშირის შენარჩუნების ცენტრი.

გადაწყვეტილება ეროვნული მექანიზმის შესაძლო ფორმის შესახებ მიიღება თითოეული სახელმწიფოს მიერ. ზოგიერთმა სახელმწიფომ უკვე გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით, (მაგლითის სახით ჩვენ შეგვიძლია მოვისხენით ნიდერლანდები, სადაც, პაგის 1997 წლის 24 და 26 აპრილის მინისტრთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების თანხმად, მზადების პროცესშია ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი ეროვნული მომხსენებლის დანიშვნა; მომხსენებელი იქნება მთავრობისათვის მოხსენებაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი პირი).

## ii. საერთაშორისო დონეზე

### პუნქტი 53, 54 და 55

საერთაშორისო დონეზეც აუცილებელია სხვადასხვა მოქმედ პირთა მიერ განხორციელებულ ქმედებათა კოორდინირება. როგორც დეტალურად აღწერილია ამ განმარტებითი მემორანდუმის დასაწყისში, მრავალმა ორგანიზაციამ გაატარა ტრეფიკინგთან ბრძოლის მოქმედები (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ინტერპოლი, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო და ა.შ.) ამ სხვადასხვა დონისძიების სარგებლიანობის გაცნობიერებასთან ერთად, პროექტის ავტორებს სურდათ ხაზი გაესვათ მათი კოორდინირების უზრუნველყოფის საჭიროებისათვის ისეთი სპეციალური საერთაშორისო ორგანოს შექმნით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან კონკრეტულად დაკავშირებულ რამდენიმე ამოცანაზე.

### პუნქტი 56 და 57

რეკომენდაცია იწვევს მთავრობებს ხელი მოაწერონ და მოახდინონ რატიფიკაცია, თუკი ეს ჯერ კიდევ არ გაუქეთებიათ, ან მხედველობაში მიიღონ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული შესაბამისი საერთაშორისო საშუალებები.

---

1. მრავალი კომენტარი და მონაცემი აღებულია ბრიუსელში (ბელგია) მოღვაწე ადგოკატის და ევროპის საბჭოს კონსულტანტის მიშელ პირშის მიერ მომზადებული “ტრეფიკინგისა და იძულებითი პროცესი” საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმიდან”.

2. ის. განსაკუთრებით: “ტრეფიკინგი და პროცესი” ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან მიგარანტი ქალების მზარდი ექსპლუატაცია” მაისი, 1995 წელი; “სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგი იტალიაში”, ივნისი, 1996 წელი; “სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგი ავსტრიაში”, ივნისი, 1996 წელი; “ქალთა ტრეფიკინგი ევროპის კავშირის სახელმწიფოებში: მახასიათებლები, ტენდენციები და პოლიტიკის საკითხები” მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგის შესახებ კონფერენციისათვის წარდგენილი დოკუმენტები, ვენა, ივნისი 1996 წელი.

3. ის. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის სტოპოლმის დეკლარაცია (სტოპოლმი, 9 ივლისი, 1996 წელი) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ადამიანურ განზომილებათა საკითხების შესრულების მეოთხე

(ვარშავა 26 ოქტომბერი 6 ნოემბერი 1998 წელი) და მომდევნო შეხვედრებზე მრავალი მონაწილე სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ინტერვენცია.

4. ამ კამანიის საბოლოო ანგარიში ხელმისაწვდომია და შეიძლება მოპოვებულ იქნეს ევროპის საბჭოში, ადამიანის უფლებათა განცერალურ დირექტორატში, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კიმიტების სამდივნოში, F-67075 სტრასბურგი.

5. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ლონისძიებების მრავალსექტორულ ჯგუფს გააჩნდა შემდეგი კოპეტენცია:

“ჯგუფის ამოცანაა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კომიტეტის უფლებამოსილების შესაბამისად დაგეგმოს და მოამზადოს ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც ევროპის საბჭოს შეუძლია სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან, განსაკუთრებით ქალთა და გოგონათა ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში. ჯგუფი ასევე განსახორციელდს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კომიტეტის მუშაობის ზედამხედველობას ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებებზე. ის. სქოლით I, რომელიც მხედველობაში იღებს სხვა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სამუშაოს (ევროპის კავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ბუდაპესტის ჯგუფი, იტერპოლი/ევროპოლი, და ა.შ.). განსაკუთრებით ჯგუფის ამოცანაა:

i. განსაზღვროს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით უპანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს მოქმედებათა პრიორიტეტული სფეროები და შეაფასოს, განსაკუთრებით სხვადასხვა კომიტეტის მოსაზრებათა საფუძვლზე, რომელთაც უკვე მიიღეს რჩევები ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კომიტეტისაგან, იმ მოქმედებათა აუცილებლობა და ვარგისიანობა, რომლებიც ევროპის საბჭომ შეიძლება განხორციელებადად მიიჩნიოს .

ii. გათვალისწინებულ შესაძლო მოქმედებათა ჩარჩოში განსაზღვროს სხვა კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაცია და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირომები.

iii. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კომიტეტის მიღწეული სამუშაოს საფუძვლზე, და ასევე არსებული საერთაშორისო საშაულებების მხედველობაში მიღებით, მოამზადოს რეკომენდაციის პროექტი, რომელიც მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით უპანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ეროვნულ დონეზე გასატარებელ მოქმედებათა ძირითად პრინციპებსა და წინადაღებებს.

6. სამდივნოსთან კონსულტაციით, სამართლიანი გეოგრაფიული ბალანსის საჭიროების გათვალისწინებით მისი ათი წევრი დანომენულ იქნა შემდეგი კომიტეტების მიერ: ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შერეული კომიტეტი; მას-მედიის შერეული კომიტეტი; სოციალური პოლიტიკის შერეული კომიტეტი; ადამიანის უფლებათა შერეული კომიტეტი; სამართლებრივი თანამშრომლობის ევრპული კომიტეტი; მიგრაციის ევროპული კომიტეტი; ევროპის სოციალური ქარტიის სამთავრობო კომიტეტი; დანაშაულის პრობლემათა ევროპული კომიტეტი.

7. ეკრძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციები: ბავშვთა და მოზარდთა სექსუალური ექსპლუატაციის, პორნოგრაფიის, პროსტიტუციისა და ტრეფიკინგის შესახებ რეკომენდაცია № R (91) 11; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები: გარდამავალ პერიოდში ევროპაში დანაშაულის პოლიტიკის შესახებ რეკომენდაცია № R (96) 8 და დაცვის უფლებისა და მოწმეთა დაშინების შესახებ რეკომენდაცია № R (97) 13; ბავშვებით უკანონო ვაჭრობისა და ბავშვის ექსპლუატაციის სხვა ფორმების შესახებ რეკომენდაცია 1065 (1987), უკანონო მიგრაციის შესახებ რეკომენდაცია 1211 (1993), ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ რეკომენდაცია 1099 (1996) და ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ქალთა ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია 1325 (1997);

8. ტერმინი მცირებულოვანი გაგებულია, როგორც “ნებიმიერი ადამიანი თვრამები წლის ასაქს ქვემოთ” როგორც განმარტებულია ბავშვის უფლებათა შესახებ გაერთიანებული ერქის ორგანიზაციის კონვენციაში (1989).

9. რეკომენდაციაში მოხსენიებულ კვლევის სფეროებთან ერთად პროექტის ავტორები ასევე ურჩევდნენ, რომ განხორცელებულიყო ისეთი სპეციფიური საკითხების შესწავლა, როგორიცაა ადამიანთა ტრეფიკინგსა და ნარკოტიკების კონტაბანდას შორის არსებული კავშირები; სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ფულის გათეორება; სექს- ტურიზმი; მცირებულოვანთა ტრეფიკინგი და სექსუალური ექსპლუატაცია. იხ. მრავალსექტორული ჯგუფის მოქმედებათა საბოლოო ანგარიში სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ (EG-S-TS), ღოკუმენტი EG-S-TS (99)8.

10. ამასთან დაკავშირებით იხ. ამ მოვლენის შესწავლაში კვროპის საბჭოს მიერ შეტანილი წვლილი: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ქალის შესახებ წარმოდგნასთან დაკავშირებული “კარგი” და “ცუდი” პრაქტიკის შესახებ სტრაბურგში 1998 წლის 28 და 29 სექტემბერს ორგანიზებული სიმპოზიუმის ოქმები: სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგი.

11. ტრეფიკინგის ქსელის გავრცელება შეესატყვისება სხვადასხვა ტიპის მოთხოვნას. აქედან გამომდინარე ქსელი დიდი ხნის მანძილზე “მაიაწვდიდა” აზიელ ქალებს დასავლურ ბაზარს, 1998 წელს ტაილანდურმა პრესამ გამოაქვეყნა ინფორმაცია მამრობითი სქესის აზიელი კლიენტებისათვის სლავი ქალების (რესი და უკრაინელი) ტრეფიკინგის ბოლო დროინდელი ქსელის ორგანიზების შესახებ, უპირატესობა ეძღვეათ ქალებს გარკვეული ფიზიკური მახასიათებლებით (მკრთალი კანი, ქრო თმა, ცისფერი თვალები).

12. იხ. განსაკუთრებით სვენ-აქსელ მენსონის კვლევები, ღუნდის უნივერსიტეტი, სოცალურ მეცნიერებათა სკოლა (შვედეთი), და პრიორი და ტაკსდალი (ნორვეგია), თემაზე “მამაკაცი და სექსით ვაჭრობა”. სექსის მყიდველი მამაკაცების მთველი რიგი გამოკითხვების შემდეგ შენსონმა განსაზღვრა ამ ქცევის მოტივთა სამი ჯგუფი: ცნობისმოყვარეობა, სექსუალური ცვლებადობა და მოსახერხებლობა, მარტობა და პრობლემები კონტაქტების დამყარებაში, პრობლემები ცხოვრების პარტნიორთან ურთიერთობაში. ნორვეგიულ მეცნიერებათა, პრიორისა და ტასკდალის ნაშრომი სექსის ყიდვას ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობების თანამედროვე კონტაქტებში ათავსებს. მათ თანახმად, თუკი წასული მამაკაცის მიერ სექსის ყიდვა იყო მამრობითი დომინანტობის დადასტურება, ახლა, მომხდარი მოცემული ცვლილებებით, ეს შესყიდვა შეიძლება დაკარგული დომინანტობის უკან დაბრუნების მცდელობა აღმოჩნდეს. ისინი თვლიან, რომ სექსის ყიდვის მიზეზები შეიცვალა. ფაქტად რჩება, რომ მამაკაცის მხგავს მდგომარეობაში ჩაყენებული ქალი, არ რეაგირებენ და არ არიან მიმართულნი სექსის ყიდვისაკენ.

13. იხ. ქალთა ტრეფიკინგისა და იმულებითი პროსტიტუციის შესახებ სპეციალისტთა ჯგუფის, ევროპის საბჭო, სტრაბურგი, 1993 წლის დეკემბერი, საბოლოო მოხსენება, და სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის ღონისძიებათა მრავალსექტორული ჯგუფის საბოლოო მოხსენება, ევროპის საბჭო, სტრაბურგი, 1999 წლის მარტი.

14. თუმცა ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა არის გაზეთში რეკლამის მოთავსება ფიქტიური სამუშაოს შეთავაზებით (უკრაინა), ტრეფიკინგის ზოგი განმახორციელებელი არ ყოფილობს მოიტაცოს ქალები ან გოგონები, რომლებიც ურბალოდ უკვალოდ ქრებიან (ალბანეთი).

15. მაგალითის სახით, რესერტის საშუალო სკოლის გოგონებში 1998 წელს ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ორი სამუშაო პროფესია, რომლითაც ისინი ყველაზე მეტად იყვნენ დაინტერესებულნი იყო “მოდელი” და “მემაკი”.

16. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლაში არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შესახებ იხ. ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული საეთაშორისო კონფერენციის დასკრნა და ოქმები, სტრაბურგი, 29 და 30 ივნისი, 1998 წელი (მიმართვა EG/NGO/SEM(98)8).

17. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სფეროში მედიის გაღლენის შესახებ იხ. ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული სემინარის ოქმები, 28 და 29 სექტემბერი, 1998 წელი.

18. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებებთა დაცვის ეფუძნებული კონვენციის მე-10 მუხლისა და დაკავშირებული პრეცედენტების სამართლის შესაბამისად.
19. პროექტის ავტორები ფიქრობდნენ განსაკუთრებით კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებზე, რომლებმიც ტრეფიკინგმა და სექსუალურმა ექსპლუატაციამ მნიშვნელოვანი მასშტაბები მიიღო, როგორც ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში 1995 წლის დეიტონის შეთანხმების შემდეგ.
20. ამასთან დაკავშირებით იხ. ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის (ბეიჯინი, 4–15 სექტემბერი, 1995 წელი), მიერ მიღებული სამოქმედო პლათფორმა, და განსაკუთრებით თავი IV.A და F.